ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 8 თებერვალი, 2022 | №27 (8805) | ფასი: 60 თეთრი

გვ.5

უკრაინაში 29 წლის ქართველი ემიგრანტი გარდაიცვალა

ელიავას ბაზრობაზე ხანძარი მაღაზია „არჩევანს“ გაუჩნდა

გვ.5

რატომ არ უყვართ ნაციონალებს მელია?!

გვ.2

თორნიკე შარაშენიძე: „ჩანაწერში არაფერი სკანდალური არ ყოფილა. მეორედაც უნდა ჩასვან ციხეში და მერე ბედნიერები იქნებიან?!“

„დღეს ოპოზიცია ქუჩაში უნდა იყოს და არა პარლამენტში“

გვ.3

მურმან დუმბაძე: „გაუსაძლისია სოციალური მდგომარეობა. პოლიტიკური ჩიხია. თუ ასე გაგრძელდება, კიდევ უფრო დიდ ჩიხში შევალთ“

გვ.3

სააკაშვილი: „ბადრი ჯაფარიძეს უფლებამოსილებას იმიტომ უწყვეტენ, რომ ჩემი წამების კომისიის შეჯმნასთან დაკავშირებით 50-ე ხმაა“

კელი დეგნანი: „ჩვენი ინტერესია, სააკაშვილის უფლებები დაცული იყოს“

გვ.2

გვ.2

ხათუნა სამნიძე: „იმედი მაქვს, „ოცნება“ „წითელ ხაზებს“ სულ არ გადავა“



გვ.4

„აშშ რუსეთს უგზავნის სიგნალს, რომ ომი რთული იქნება“

გიორგი სანაიას ყოფილი ცოლის სახლი გატეხეს

გვ.5

ISSN 1987-9385

5 კიევში უცნობმა პირებმა ზურაბ ადეიშვილს სცემეს

5 „ინფორმაციის გამოქვეყნება საჭიროებს განსაკუთრებულ სიფრთხილეს“ — ლონდა თოლორაია

5 რატომ დააკავეს მარტოხელა დედა ქუთაისში

6 ამერიკელი მედესანტეები პოლონეთში ჩავიდნენ

რატომ არ უყვართ ნაციონალებს მელია?!

თორნიკე შარაშენიძე: „ჩანაწერში არაფერი სკანდალური არ ყოფილა. მეორედაც უნდა ჩასვან ციხეში და მერე ბედნიერები იქნებიან?!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

– ბატონო თორნიკე, როგორ აფასებთ ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს? ბოლო პერიოდია, ოპოზიციის ლანძღვა გვესმის, ვისმენთ შეფასებებს, რომ სადაცაა ჩამოიშლება ისეთი მსხვილი ოპოზიციური პარტია, როგორიც ნაცმოძრაობაა. რას იტყვით თქვენ?

– დღეს ხდება ის, რომ, ჩემი აზრით, როცა ისახავენ ხოლმე არარეალისტურ გეგმებს და არარეალისტურ მოლოდინებს, მაგალითად, რევოლუციას, მერე, როცა არ ახდება ეს მოლოდინი, ჯერ ერთი, თვითონვე ეუფლებათ იმედგაცრუება, ასევე იმედგაცრუებაა მათ მომხრეებში და მუდმივად წრეზე დადიან. დასახავენ რაღაც გეგმას, მოდი, ახლა დავამხოთ „ოცნება“ 2020-ში, არ დაემხობა, დავამხოთ 2021-ში არ დაემხობა და ასე გრძელდება და გრძელდება. ფლუსტრაცია იგრძნობა ყველა დონეზე, ზემოთაც და ქვემოთაც, ალბათ – რიგით ამომრჩევლებშიც. მით უმეტეს, როგორც ჩანს, ფულის ნაკლებობაც აქვთ და ეს სერიოზულ დაღს ამჩნევს. ასევე ინტელექტუალური რესურსის გადინებასაც ვუყურებთ ჩვენ. ძალიან ბევრი წავიდა ამ პარტიიდან, ვისაც ჭკუა მოეკითხებოდა. მე ვიტყოდი, რომ ყველა დონეზე კრიზისი აქვთ.

– ნიკა მელიას ჩანაწერებზე რას იტყოდით? მან არც უარყო, ღიად გაიმეორა იგივე და ბევრს მოეწონა კიდეც მისი ასეთი პირდაპირობა.

– მე ამ ჩანაწერებში განსაკუთრებული არაფერი მინახავს. კაცი დგას და ქუჩაში ლაპარაკობს. დაფარულს იქ არაფერს არ ამბობდა. ასე რომ, ამ ჩანაწერის გამომზეურება და ერთი ამბავის ატეხა, რომ მელიას აღსარება და ასე შემდეგ, ცოტა სასაცილო მგონია.

– ის თავიდანვე აცხადებდა, რომ წინააღმდეგი იყო სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლის. ეს ხმები გამოდიოდა კიდეც პარტიიდან.

– დიახ, ასეა. რაც მთავარია, არაფერი სკანდალური ამ ჩანაწერში არ ყოფილა. როგორ შეიძლება, ჩანაწერი იყოს სკანდალური, როცა ქუჩაში ლაპარაკობს ადამიანი და გარშემო 10 კაცი ახვევია. არაფერი განსაკუთრებული არ უთქვამს. სხვა ამბავია, რომ მელია შიგნით პარტიაში ბევრს არ მოსწონს, თუმცა, რა უნდათ, მისგან ვერ გავიგე. ერთხელ ეს კაცი ციხეში იჯდა და მეორედაც უნდა მიასკდეს შუბლით პარლამენტს, მეორედაც უნდა ჩასვან ციხეში და მერე ბედნიერები იქნებიან?! მოკლედ, არ ვიცი, რას ემსახურება მისივე პარტიის მხრიდან მელიას ლანძღვა. რა უნდა ქნას მელიამ, ან მის ადგილას სხვა რას იზამდა?!

– მხოლოდ სააკაშვილის გარშემო დღის წესრიგის დაგეგმვამ დააზარალა ნაციონალური მოძრაობა და ბევრს დაკარგავს ეს პარტიაო. რამდენად იზიარებთ ამას?

– სააკაშვილის გარეშე მაგ პარტიას ხმები ძალიან დააკლდება. ამაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ, მეორე მხრივ, ისიც არის, რომ ამ პარტიას ყოველთვის აზარალებდა ერთი მომენტი, მხოლოდ და მხოლოდ სააკაშვილის ხმების მობილიზაცია და ნეიტრალურ ხმებზე რეალურად უარის თქმა. მათი რიტორიკა, რომელიც ხანდახან ძალიან აგრესიულია, რეალურად იწვევს იმას, რომ ნეიტრალური პოზიციის მქონე ადამიანები მათ გაურბიან. კი ახდენენ თავიანთი მომხრეების მობილიზაციას, მაგრამ ეს ხომ არაა საკმარისი? „ოცნებას“ რომ აჯობონ, საჭიროა ნეიტრალური ხმები, ნეიტრალური ადამიანები, საბოლოო ჯამში, მათ არ აძლევენ ხმას. აი, რა არის მათი პრობლემა.

– ნეიტრალური ხმები ახსენეთ და ბოლო გამოკითხვებით საკმაოდ გაზრდილია ისეთი ამომრჩევლის რიცხვი, ვისაც არც ერთი არ უნდა. საკმაოდ მაღალი რიცხვია. გამოჩნდება ისეთი ძალა, პარტია ან ლიდერი, რომლებიც ამ ხმების წაღებას შეძლებს?

– ჯერჯერობით ასეთს ვერ ვხედავ, არ ჩანს. ამას სჭირდება სერიოზული ფიგურა, სერიოზული ავტორიტეტის მქონე. ასეთი კი საქართველოში არ ჩანს.

– გახარიას რამდენად შეეძლო, აქტიური რომ ყოფილიყო ამ ხმების წაღება?

– გახარიას, იდეაში, უნდა წაეღო იმედგაცრუებული მეოცნებეების ხმები. ნეიტრალურები – ძალიან ნაკლებად. ამხელა ნიშას ვერ აითვისებდა. გახარიამ 20 ივნისი თავის თავზე აიღო და ამან დააზარალა. შესაბამისად, არ ჰქონდა შანსი ამ ხმების მობილიზაციის.

– რას იზამს გახარია? ბევრი ფიქრობს, რომ ის ჩუმად აკეთებს საქმეს, მუშაობს ადგილობრივ თვითმმართველობით დონეზე, რას იზამს, ასე უხმაუროდ მოემზადება 2024 წლის არჩევნებისთვის?

– 2024-მდე არის დრო. ვნახოთ, იქამდე გამოჩნდება. 2023-შიც თუ არ ამოიღო ხმა, ე.ი. გასვლა უნდა. ჩემი აზრით, პარტიული ლიდერი უნდა ჩანდეს. როცა ამბიცია გაქვს რაღაცის, უნდა ჩანდეს უფრო ხშირად, მერე არჩევნებამდე ერთი თვით ადრე უცებ გამოჩნდეს მსსნელივით, ეს არ უშველის. პოლიტიკაში თუ ხარ, უნდა ჩანდე და აქტიურობდე.

– ბატონო თორნიკე, გასული კვირის ბოლოს პოზიციური პარტიის წარმომადგენლები უკრაინაში ჩავიდნენ და სოლიდარობა გამოხატეს ამ ქვეყნის მიმართ. რამდენად სწორი იყო მათი ქმედება? აქ დაიწუნეს რეზოლუცია და იქ გამოხატეს საკუთარი ნება. რას იტყვით თქვენ?

– ყველას საკუთარი პოზიცია აქვს. შეიძლება, ზოგიერთი მათგანი გულწრფელად ფიქრობს, რომ საქართველოს ხელისუფლება არ აკეთებს საკმარისს, ზოგიერთი მათგანი, უბრალოდ, პოლიტიკური თამაშისთვის იყენებს, რომ აქ ნიუსი ასწიოს. ეს არის რეალურად. რაც შეეხება რეზოლუციაში ერთი სიტყვის არჩაწერას, ამის გამო ქვეყნის დაქცევაც არა მგონია მაინცდამაინც სწორი. საქართველო უკრაინაზე 12-ჯერ თუ 13-ჯერ პატარა ქვეყანაა. საქართველო არ არის ნატოს წევრი, საქართველოს არ უდგას თავის ტერიტორიაზე ნატოს ბაზა, ისე, როგორც პოლონეთს და საქართველო რომ ვერ აქტიურობს, ამას თავისი ობიექტური მიზეზები განაპირობებს. რუსული ბაზა დგას 40 კმ-ში და ამით ყველაფერი ნათქვამია. არც ერთ ქვეყანას, რომელიც უკრაინას მხარს უჭერდა, ისეთი პრობლემა არ უდგას, როგორიც ჩვენ. რუსული ბაზა დედაქალაქიდან ყურისძირშია. პოლონეთს ამერიკული ბაზა უდგას და 40-მილიონიანი ქვეყანაა, ასევე – ნატოს წევრია. პოლონეთთან დატოლება და დადარება კომიკური მგონია ხოლმე. ასევე არასწორია უკრაინასთან დატოლება. უნდა გავითვალისწინოთ რეალობა. პირდაპირ შედარება და თვითგვემაში ჩავარდნა იმის გამო, რომ არ ვიქცევით ისე, როგორც პოლონეთი, არასწორი მგონია. მე არ მგონია, სხვა ხელისუფლება „ოცნების“ ადგილას სხვანაირად მოქცეულიყო. არ არის ასე მარტივი. შეიძლება, „ოცნება“ ზოგჯერ ზედმეტად ფრთხილადაც იქცევა, მაგრამ, რამდენად გასალანძღია ამის გამო, ამას დრო გამოაჩენს.

– რას იტყვით ხელისუფლების შიგნით მიმდინარე პროცესებზე?

– დღეს რაც გამოსდის „ოცნებას“ კარგად, არის ის, რომ ხელისუფლებას ინარჩუნებს. სახელმწიფოს აღმშენებლობას ეწევაო, ვერ ვიტყვით, მაგრამ ხელისუფლებას წარმატებით ინარჩუნებენ. ეს მათი დამსახურებაა თუ ოპოზიციის უნიათობის, სხვა საქმეა, მაგრამ ფაქტია, რომ ოპოზიციას სჯობნიან. 10 წელიწადია, უკვე ყველა არჩევნები მოიგეს. 8 არჩევნები ჩატარდა და ყველა მოიგეს. მთლად ოპოზიციასაც ნუ დავაბრალებთ, კარგად იციან, არჩევნები როგორ უნდა მოიგონ. რაც შეეხება ქვეყნის აყვავებას, აქ მაინცდამაინც დიდ პროგრესს ვერ ვხედავ.

– ფიქრობთ, რომ 2024-მდე ისე მივალთ, დღის წესრიგში არ დადგება ვადამდელი არჩევნები? ზოგიერთი ექსპერტი ფიქრობს, რომ, შესაძლოა, მოულოდნელად 2023 წელს დანიშნონ არჩევნები და ისევ ძველი საარჩევნო სისტემით ჩაატარონ. რას იტყვით?

– არა მგონია. რაღაც საბაბი ხომ უნდა მოიგონონ, რომ დანიშნონ ვადამდელი? ეს ჯერჯერობით არ ჩანს. ოპოზიცია თუ სასწაულს მოახდენს ქუჩაში, შეიძლება, ვადამდელი დანიშნოს, მაგრამ ოპოზიციას ამის თავი არა აქვს და არც უნდა აწყობდეს ძველი სისტემით ვადამდელის დანიშვნა. ოპოზიციას ურჩევნია, მოძლიერდეს და 2024 წლის არჩევნებისთვის მოემზადონ. ოღონდ აქ ერთი სერიოზული პრობლემაა, რამდენად მიატანენ 2024 წლამდე პატარ-პატარა ოპოზიციური პარტიები? ხომ არ დარჩება მხოლოდ ორი პარტია, ნაცმოძრაობა და „ოცნება“? ამ შემთხვევაში ალბათ ისევ „ოცნება“ გაიმარჯვებს, იმ ნეგატივის გათვალისწინებით, რომელიც ნაცმოძრაობას დღემდე მოჰყვება.

ხათუნა სამნიძე: „იმედი მაქვს, „ოცნება“ „წითელ ხაზებს“ სულ არ გადავა“

– იმედი მაქვს, „წითელ ხაზებს“ სულ არ გადავა „ოცნება“ და ბადრი ჯაფარიძესაც არ შეუწყვეტს უფლებამოსილებას, მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნება“ ყველაფერზეა წამსვლელი, ეს საერთოდ წარმოუდგენელია, – ამის შესახებ დეპუტატმა ხათუნა სამნიძემ გადაცემა „360 გრადუსში“ განაცხადა.

ხათუნა სამნიძე ფიქრობს, რომ ბადრი ჯაფარიძესთან დაკავშირებით „აბსურდული გადაწყვეტილება“ არ იქნება მიღებული.

– სამივე სხვადასხვა შემთხვევაა, როგორც ბადრი ჯაფარიძის, ასევე ელენე ხოშტარიასი და ასევე შალვა ნათელაშვილის. ჩემი დამოკიდებულება ასეთია – თუ ოპოზიციურ

პარლამენტის წევრს სურს, რომ პარლამენტში იმუშაოს, შემოვიდეს და გააგრძელოს მუშაობა, მათ არ უნდა შეუწყდეთ მანდატი, რადგან ამის საფუძველი არ არსებობს. თუ ამას გადაწყვეტს „ქართული ოცნება“, ეს იქნება პოლიტიკური გადაწყვეტილება.

– რეგლამენტის მიხედვით, სამივე საკითხზე მსჯელობა უნდა მოხდეს, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ამ „წითელ ხაზებს“ სულ არ გადავა „ქართული ოცნება“ და ამ შემთხვევაში ბადრი ჯაფარიძესაც არ შეუწყვეტს უფლებამოსილებას. არ წარმომიდგენია, რომ ეს გააკეთოს მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერზე წამსვლელია „ქართული ოცნება“. მაინც მგონია, რომ ბადრი ჯაფარიძესთან დაკავშირებით ასეთ აბსურდულ გადაწყვეტილებას არ მიღებენ. ელენე ხოშტარია არ აპირებს, არ გეგმავს და არაერთხელ განაცხადა, რომ არ სჭირდება ეს მანდატი, უნდა, რომ უფლებამოსილება მოეხსნას. შალვა ნათელაშვილის შემთხვევაში ის ღიად ამბობს, რომ შესაძლოა გააგრძელოს პარლამენტში მუშაობა, ეს უკავშირდება დაფინანსების საკითხს და ა.შ. ბადრი ჯაფარიძესთან ეს საერთოდ წარმოუდგენელია, უკავშირდება ისეთ სასამართლო პროცესს, რომელიც ვიცით, რომ იყო პოლიტიკური ანგარიშსწორება, – განაცხადა ხათუნა სამნიძემ.

ხათუნა სამნიძის თქმით, ოპოზიცია საგამოძიებო კომისიების შექმნაში ერთმანეთს უნდა დაეხმაროს და თუ ნაციონალურ მოძრაობას სურს, მიხეილ სააკაშვილზე საგამოძიებო კომისია შეიქმნას, მაშინ თავადაც უნდა დაუჭირონ მხარი იმ საგამოძიებო კომისიებს, რომლებიც დანარჩენი ოპოზიციის მიერ უკვე მაგიდაზე დევს.

– საგამოძიებო კომისიების შექმნაში ჩვენ ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ. ერთმანეთის გარეშე ვერცერთი კომისია ვერ შეიქმნება. თუ ნაციონალური მოძრაობისგან ვერ დავინახეთ თანამშრომლობა, მათ მხარი არ დაუჭირეს იმ კომისიებს, რომელიც უკვე მაგიდაზე დევს, რა თქმა უნდა, მეც გამიჩნდება ეჭვი, რომ ისინი არ აპირებენ თანამშრომლობას და მხოლოდ საკუთარი კომისიის შესაქმნელად არიან პარლამენტში, – განაცხადა ხათუნა სამნიძემ.

კელი დეგნანი: „ჩვენი ინტერესია, სააკაშვილის უფლებები დაცული იყოს“

– ჩვენი ინტერესია, რომ ბატონი სააკაშვილის უფლებები დაცული იყოს, მას ღირსეულად მოექცნენ, მიიღოს საჭირო სამედიცინო დახმარება, სარგებლობდეს სამართლიანი სასამართლოთი, – ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმა განაცხადა.

– მე როგორც ვიცი, ბატონმა სააკაშვილმა სარჩელი გააგზავნა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში და არსებობს სპეციალური პროცედურები, რის მიხედვითაც ეს საკითხები განიხილება.

რაც შეეხება კანონის უზენაესობას და მის დაცვას, ჩვენი ინტერესია, რომ ბატონი სააკაშვილის უფლებები დაცული იყოს, მას ღირსეულად მოექცნენ, მიიღოს საჭირო სამედიცინო დახმარება, სარგებლობდეს სამართლიანი სასამართლოთი, – აღნიშნა ელჩმა.

რაც შეეხება იმას, უნდა შეიქმნას თუ არა საგამოძიებო კომისია სააკაშვილის საქმეზე, საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხს, ელჩის განმარტებით, ეს მთლიანად პარლამენტის უფლებამოსილება და მოვალეობაა.

– ჩემი გადასაწყვეტი არაა, უნდა შეიქმნას თუ არა საგამოძიებო კომისია, არსებობს შესაბამისი წესები და პროცედურები და, თუკი მხარდაჭერა იქნება, პროცესი წინ წავა, მაგრამ ეს მთლიანად არის პარლამენტის უფლებამოსილება, – აღნიშნა ელჩმა.

ნიკა გვარამია: „ბოლო 5 წელიწადში, მგონი, ყველა ბაზრობა დაიწვა“

„მთავარი არხის“ გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია ელიავას ბაზრობაზე გაჩენილ ხანძარს ეხმაურება:

– ბოლო ხუთ წელიწადში ამ ქვეყანაში მგონი ყველა ბაზრობა დაიწვა.

ვიღაც ბაზრობებზე აღგზნებული ნერონია ქვეყანაში, აშკარად, – წერს ნიკა გვარამია.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„დღეს ოპოზიცია ქუჩაში უნდა იყოს და არა პარლამენტში“

მურმან დუმბაძე: „გაუსაძლისია სოციალური მდგომარეობა. პოლიტიკური ჩიხია. თუ ასე გაგრძელდება, კიდევ უფრო დიდ ჩიხში შევალთ“

ნათია ხურცილავა

„ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიციის“ წევრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო მურმან, პარლამენტი მზად არის, სამ ოპოზიციონერ დეპუტატს – ბადრი ჯაფარიძეს, ელენე ხოშტარიასა და შალვა ნათელაშვილს – უფლებამოსილება შეუწყვიტოს. თქვენ რით ხსნით ამ გადაწყვეტილებას?

– უპირველეს ყოვლისა, ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება. როდესაც ოპოზიციამ უკიდურესი პროტესტის გამოხატვის მიზნით მანდატის დატოვების შესახებ განცხადება დაწერა, მაშინ „ქართულმა ოცნებამ“ ამ დეპუტატებს არ დაუკმაყოფილა ეს განაცხადი. ახლა რა ხდება?! ნათელაშვილი ამდენი წლის შემდეგ ითხოვს, შევიდეს პარლამენტში და არ უშვებენ. რეგლამენტს, როგორც უნდათ, ისე კითხულობენ. ყველა შემთხვევაში გადაწყვეტილება იქნება პოლიტიკური.

ჩემი დამოკიდებულება პარლამენტში შესვლა-არშესვლის საკითხისადმი დღესაც იგივე რჩება. ეს იყო მცდარი გადაწყვეტილება, რომელიც თავის დროზე ოპოზიციამ მიიღო. დღეს საქართველოს პარლამენტში ოპოზიციას არაფერი არ ესაქმება.

– პრაგმატულად თუ ვიმსჯელებთ, ოპოზიციას ხმები აკლდება. ხმები დააკლდებათ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით საგამოძიებო კომისიის შექმნაში. შეიძლება, ეს არის მიზანი?

– მე სწორედ ამას ვფიქრობ. ერთი მესამედი არ უნდა შეიკრიბოს, რომ კომისია შეიქმნას. ისე, „ქართული ოცნების“ მიზანია, რაც შეიძლება უფრო ფიგურალურად იყოს ოპოზიცია წარმოდგენილი პარლამენტში, რომ არაფრის შესაძლებლობა მათ არ ჰქონდეთ. იტყვიან, ოპოზიცია წარმოდგენილია პარლამენტში, მაგრამ ამ ოპოზიციას არაფრის გაკეთების შესაძლებლობა არ ექნებაო. ეს იქნება უბრალო ფორმალობა. ამის მიღწევა უნდა „ქართულ ოცნებას“.

სიმართლე გითხრათ, მე მაინც მგონია, რომ ყველაზე დიდი კომისია, ყველაზე დიდი ლუსტრაცია იქნებოდა ქუჩაში ბრძოლა. ოპოზიცია ქუჩაში უნდა იყოს და არა პარლამენტში. დარწმუნებული ვარ, თუ არც ერთი პოლიტიკური პარტია არ შევიდოდა და ჩვენ ამ ცდუნებას გავუძლებდით, უკვე 2022 წელს ვადამდელი არჩევნები დანიშნული იქნებოდა.

– დანიშნავდა კი, როდესაც „ქართული ოცნება“ გამარჯვებას ინაღდებს?

– გასაგებია, რასაც მეკითხებით, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, თუ არც ერთი პარტია, არც წვრილი და არც მსხვილი, არ შევიდოდა პარლამენტში, სხვა გზა, უბრალოდ, არ ექნებოდა და დანიშნავდა.

საქართველოს პარლამენტში დღეს „ქართული ოცნება“ 70%-ით არის წარმოდგენილი, ოპოზიციას კი არავითარ შანსს არ უტოვებს და ეს ბოლო გადაწყვეტილებაც ამის დასტურია. საბოლოოდ გამარჯვება გაინაღდეს და მათ არაფრის არ ეშინიათ, ახლა ოპოზიციაც კი არ აწყობთ შიგნით. ადრე თუ ეხვეწებოდნენ, გინდა თუ არა, შემოდითო, ახლა ხელის ერთი მოსმით გარეთ უშვებენ. სამწუხაროდ, ეს რეალობა მივიღეთ.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ ოპოზიციასაც მიუძღვის ამ რეალობის შექმნაში თავისი წვლილი?

– რა თქმა უნდა! სწორედ ამას ვამბობ, რომ ოპოზიცია თუ იქნებოდა თანმიმდევრული, „ოცნება“ ამდენს ვერ გაბედავდა. ახლა კი გამარჯვებით ტკბება. ვითომ გამარჯვებით, იმ ციფრებით, რომლებიც გამოსახულია ტაბლოზე. „ოცნება“ ყველაფერს გააკეთებს, რომ ოპოზიცია შებოჭოს და განძრევის შესაძლებლობა არ მისცეს. საერთოდ არ მიკვირს, ისეთი რაღაცები ხდება ბათუმში. მერიაში ოპოზიციას მერთან უნდა შესვლა რაღაც საკითხებზე სასაუბროდ, მაგრამ პოლიციის იმხელა კორდონი იცავს მერს, რომ იქ ვერავინ ვერ შევა. პოლიციის კორდონი იცავს მერის კაბინეტს.

შეუძლებელია, ეს რეალობა დიდხანს გაგრძელდეს. ძლიერი საპროტესტო მუხტი უნდა აგორდეს და „ოცნება“ იძულებული გახდეს, ვადამდელი არჩევნები დანიშნოს.

– ეს რამდენად რეალურია?

– ყველაზე რეალური ეს არის. დანარჩენი გზა ფუჭია. თუ პარლამენტში ხელის აწევას ვუყურებთ, ვინ მეტია და ვინ – ნაკლები, ჩანს, რომ ტაბლოზე „ოცნება“ მეტია. ვნახოთ, რას შეძლებენ პარლამენტში და, როდესაც დარწმუნდებიან, რომ – ვერაფერს, მაშინ ბრძოლა გარედან უნდა გაგრძელდეს. უკიდურესი ვითარებაა ქვეყანაში. გაუსაძლისია სოციალური მდგომარეობა. პოლიტიკური ჩიხია. თუ ასე გაგრძელდება, კიდევ უფრო დიდ ჩიხში შევალთ.

მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას არ მოსწონს „ქართული ოცნება“ და ეს კარგად ჩანს სოციოლოგიურ კვლევებში.

– არც ოპოზიცია მოსწონს.

– დიახ, მაგრამ ოპოზიცია ასეთ კვლევებში არც არასდროს მოსწონდა ხალხს, მაგრამ არჩევნებზე მერე უკვე სულ სხვა შედეგები იდებოდა. ასე იყო შევარდნაძის დროსაც და ასე იყო 2012 წლის არჩევნებზეც, როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა. მაშინდელ კვლევებში მიხეილ სააკაშვილი იმარჯვებდა, მაგრამ არჩევნებმა სულ სხვა რეალობა აჩვენა. დღესაც ასეა.

გრიგოლ ვაშაძე: „სააკაშვილს ეტყობა, რომ ძალიან სერიოზული ჯანმრთელობის პრობლემები აქვს“

დამოუკიდებელი ოპოზიციონერი დეპუტატი გრიგოლ ვაშაძე, რომელმაც გუშინ ციხეში მესამე პრეზიდენტი მოინახულა, ამბობს, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არასახარბიელოა. ვაშაძის თქმით, პირველი ნახვის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი ფიზიკურად კიდევ უფრო შეცვლილია.

– რადიკალური განსხვავებაა პრეზიდენტის ჯანმრთელობაში პირველად რომ შევედი ციხეში და ახლა რომ შევედი. აბსოლუტურად ეტყობა უკვე, რომ ძალიან სერიოზული ჯანმრთელობის პრობლემები აქვს. ამას სასწრაფო მიხედვა სჭირდება. ექიმების შეშვებაა საჭირო ექიმები უნდა შევიდნენ, მკურნალობის შეცვლაა საჭირო – მკურნალობა უნდა შეცვალონ, რაღაცა სპეციალური აპარატურაა საჭირო, ესეც უნდა იყოს გამოყოფილი. ვიმეორებ, რადიკალური განსხვავებაა იმ მიხეილ სააკაშვილს შორის, რომელიც მე ციხეში პირველად რომ შევედი, მაშინ ვნახე და ახლა. მე კიდევ შევალ ალბათ სადღაც თებერვლის შუისკენ და იმედი მაქვს, რომ მანამდე ხელისუფლება მიიღებს შესაბამის ზომებს, რომ ეს მდგომარეობა კიდევ არ უნდა გართულდეს და საერთოდ, არავის უნდა დაავიწყდეს ის, რომ ადამიანი, მიუხედავად მისი მდგომარეობისა და მისი თანამდებობისა, უბრალო მოქალაქეა თუ ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი, ციხეში ყოფნისას სახელმწიფოს ზრუნვის საგანი უნდა იყოს. რაც შეეხება საუბრის თემას, მე ნებართვა არ მაქვს პრეზიდენტისგან, რომ ყველაფერზე ვისაუბრო, მაგრამ ლომის წილი საუბრისა, ეს იყო საგარეო პოლიტიკაზე და, რა თქმა უნდა, ვისაუბრეთ ასევე იმაზე, სად არის დღეს საქართველო და რა მდგომარეობაში ვართ, – თქვა გრიგოლ ვაშაძემ.

ოპოზიციონერი პოლიტიკოსი ასევე ამბობს, რომ მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრისას ნიკა მელიას თემას შეხებიან. საუბარია „იმედის“ მიერ გავრცელებულ კადრებზე, სადაც ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ამბობს, რომ მიხეილ სააკაშვილი საქართველოში ჩამოსვლის წინააღმდეგი იყო.

ლარის გამყარების მიუხედავად, პროდუქცია არ გაიაფდება

„უახლოესი პერიოდი პროდუქტებზე ფასის კლებას არ უნდა ველოდოთ. უახლოესი სამი თვის განმავლობაში არაფერი არ იქნება“, – ასე ეხმაურება დისტრიბუტორთა ასოციაციის თავმჯდომარე ივა ჭყონია „ბიზნესპრესნიუსთან“ ლარის ბოლოდროინდელ გამყარებას.

მისი თქმით, სხვა ბევრ მიზეზებთან ერთად, პროდუქციაზე ფასი ლარის მიმართ დაბალი ნდობის გამოც ვერ დაიწევს.

– ფასები არ გაიაფდება. ამას აქვს ბევრი მიზეზი. პირველი, საერთაშორისო ბაზარზე ფასები მკვეთრად გაზრდილია. ამასთან, მომატებულია კომუნალური ტარიფები, რაც პირდაპირ პროპორციულად აისახება არა მხოლოდ წარმოებაზე, ასევე შენახვაზე და სასაწყობო მეურნეობაზე. გაზრდილია ნედლეულზე ფასიც, როგორც ჩვენთან, ასევე საზღვარგარეთ და რაც უმნიშვნელოვანესია, საწვავის ფასი უფრო და უფრო იზრდება. ხაზი უნდა გაესვას ხელშეკრულებებს ქსელურ სუპერმარკეტებთან, რომლების მოთხოვნებიც მუდმივად იზრდება და წელს, ახალი ხელშეკრულებების გაფორმებისასაც მოლოდინი ასეთია. ესეც აისახება ფასებში. კარგი იქნება, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, თუ მოხდება ფასების შენარჩუნება.

გარდა ამისა, ეროვნული ვალუტის მიმართ არავითარი ნდობა არ არსებობს და ისიც არ ვიცით, რა ამყარებს ლარს. რეალურად, ქვეყნის ეკონომიკას ლარის ტენდენცია აცდენილია. შესაბამისად, უახლოესი პერიოდი პროდუქტებზე ფასის კლებას არ უნდა ველოდოთ. უახლოესი სამი თვის განმავლობაში არაფერი არ იქნება. აპრილიდან ცოტა რომ დათბება, შეიძლება ცვლილებები ისიც სეზონურ პროდუქციაზე. ბაზარზე კონკურენცია საკმაოდ მაღალია და თუ რომელიმე კომპანია შეძლებს ფასის კლებას, ის ამას აუცილებლად იზამს. თუმცა, ყველაფრის გათვალისწინებით, ალბათ, უნდა ველოდოთ სააქციო ფასებს, რადგან როგორც ვთქვი ვალუტის მიმართ ნდობა არ არსებობს და ფასების კლებაც ვერ მოხდება, – განაცხადა ჭყონიამ „ბიზნესპრესნიუსთან“.

სააკაშვილი: „ბადრი ჯაფარიძეს უფლებამოსილებას იმიტომ უწყვეტენ, რომ ჩემი წამების კომისიის შექმნასთან დაკავშირებით 50-ე ხმაა“

საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ბადრი ჯაფარიძეს უფლებამოსილებას იმიტომ უწყვეტენ, რომ მისი წამების კომისიის შექმნასთან დაკავშირებით 50-ე ხმაა:

– ივანიშვილს და „ოცნებას“ ჩემი წამების დამატებითი ფაქტების გამომზეურების ცეცხლივით ეშინიათ, ვინაიდან ამას, საერთაშორისო მასშტაბით, კონკრეტული, მძიმე შედეგები ექნება. არადა, თუ გვახსოვს, ადრე თვითონ ტრაბახობდნენ, თუ ხმები დააკლდათ, ჩვენ დავუმატებთო.

ახლა, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის დასამტკიცებლად, უკვე საკმარისზე მეტი მასალაა, მათ შორის, სახალხო დამცველის კომისიამ უტყუარად დაადგინა PTSD-ს დაავადება, რაც წამების პირდაპირი შედეგია.

ამათ გაუშვეს კადრები, სადაც ცემა-ტყეპა და მიწაზე თრევა უკვე დასრულებული ჰქონდათ და აღარ მქონდა წინააღმდეგობის გაწევის ძალა, მაგრამ ეს შედარებით „მსუბუქი“ კადრებიც ღიად ადასტურებს დანაშაულს. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ საქართველოს ისტორიული სირცხვილია, როცა დამპყრობლის საამებლად ამას აკეთებ!“ – წერს მიხეილ სააკაშვილი.

გიორგი გამსახურდია: „ზვიადს შევუსრულეთ და ბიძინა რა გახდა“

– ედიკას პოლიტმემკვიდრე ძალამ არ შეიძლება, სხვანაირად ისაუბროს ზვიად გამსახურდიას ერთგულ სამეგრელოზე და იმ ადამიანებზე, რომლებმაც ბოლომდე უერთგულეს პრეზიდენტს, – განაცხადა საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას შვილმა, გიორგი გამსახურდიამ „იმედი LIVE“-ის ეთერში.

– ეს მესიჯბოქსი თან გასდევს მათ პოლიტიკურ ლიდერშიფს. არაერთხელ მიხსენებია ის ადამიანები, რომლებიც მაღალ თანამდებობებზე არიან მოკალათებულები ნაციონალური მოძრაობის პოლიტსაბჭოში, ეს მესიჯბოქსი იმ ოფისში იხარშება. ერთ ისტორიას გავიხსენებ. 2013 წელს, არჩევნების შემდეგ მათ ოფისში თქვეს ასეთი რამ: ზვიადს შევუსრულეთ და ბიძინა რა გახდაო. მე არაფერი გამკვირვებია, უბრალოდ, ნიკასგან (მელიას გულისხმობს) გამიკვირდა. ნიკა ამას არ უნდა ლაპარაკობდეს, მაგრამ ის არის ნაცმოძრაობის გამხმოვანებელი. ეს არის მათი საერთო მესიჯბოქსი და ეს არ არის ნიკას კრეატივი, – განაცხადა გიორგი გამსახურდიამ.

2022 წლის იანვარში საქართველოში მხოლოდ 4 პროდუქტი გაიაფდა

2022 წლის იანვარში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 1.1 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 13.9 პროცენტი შეადგინა – ამის შესახებ, ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტი აქვეყნებს.

რაც შეეხება საბაზო ინფლაციას, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2022 წლის იანვარში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5.6 პროცენტი შეადგინა, ხოლო თამბაქოს გარეშე წლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი ასევე 5.6 პროცენტით განისაზღვრა.

„ბიზნესპრესნიუსი“ გთავაზობთ პროდუქტების ჩამონათვალს, რომელზეც იანვარში ფასი შემცირდა:

ხახვი – 10.5%-ით; ლიმონი – 9.6%-ით; ფორთოხალი – 4%-ით; ქიშმიში -1.1%-ით.

„აშშ რუსეთს უგზავნის სიგნალს, რომ ომი რთული იქნება“

თავდაცვის სფეროს სპეციალისტები არ გამორიცხავენ, რომ პუტინმა უკრაინაში შეჭრის ნაცვლად ევროპა სხვა გზით დააშინოს

მარიამ მჭედლიშვილი

ევროპის სახელმწიფოების ლიდერები აგრძელებენ დიპლომატიურ მცდელობებს უკრაინაში ვითარების დეესკალაციის მიზნით. ამასთან, უფრო ხშირად გამოითქმის პროგნოზი იმაზე, რომ რუსეთი უკრაინაში ომს იწყებს. „ვაშინგტონ პოსტს“ ოფიციალურმა პირებმა დაუდასტურეს, რომ, დიდი ალბათობით, ფანჯარა დიპლომატიური გზით პრობლემის მოსაგვარებლად იხურება.

უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლები მოუწოდებენ მოსახლეობას, არ დაუჯერონ აპოკალიფსურ პროგნოზებს. საგარეო საქმეთა მინისტრი კულება ირწმუნება, რომ უკრაინა მზადაა მოვლენათა განვითარების ნებისმიერი სცენარისთვის. მისი თქმით, „დღეს უკრაინას ჰყავს მძლავრი არმია, აქვს უპრეცედენტო საერთაშორისო მხარდაჭერა და უკრაინელების რწმენა საკუთარი სახელმწიფოსადმი. მტერს უნდა ეშინოდეს ჩვენი და არა ჩვენ – მისი“.

აშშ-ის დაზვერვის მონაცემებით, რუსეთი ემზადება უკრაინის სრულმასშტაბიანი დაპყრობისათვის. მას უკრაინის საზღვართან მობილიზებული ჰყავს ჯარების 70%. თუ სამხედროებისა და შეიარაღების გადმოსროლა ახლანდელი ტემპებით გაგრძელდება, თებერვლის შუა რიცხვებისთვის 100%-ს მიაღწევს.

ამ ინფორმაციაზე კომენტარს აკეთებს ფინელი პოლკოვნიკი კაიანმაა. მისი სიტყვებით, ეს ინფორმაცია აჩვენებს, რომ აშშ რუსეთს უგზავნის სიგნალს, რომ ომი არ იქნება ადვილი არც პოლიტიკურად და არც ფრონტზე. აშშ-მ განაცხადა, რომ არ სჯერა მსხვილმასშტაბიანი ომის გაჩაღებისა. ამის მაგივრად მოსალოდნელია შეზღუდული შეჭრა ან სამხედრო ოპერაცია რომელიმე საბაბით.

ევროპელი სამხედრო ამბობს, რომ შესაძლებლობებს განაპირობებს არა იმდენად კონტინგენტის რიცხოვნობა, არამედ, ბრძოლისუნარიანობა და სარაკეტო დანადგარები.

პოლკოვნიკის შეფასებით, უკრაინის საზღვართან რუსეთს არ აქვს ის რესურსები, რომელიც საჭიროა მთელი ქვეყნის დასაპყრობად.

ბრიტანელი ექსპერტი თავდაცვის საკითხებში ჯოში არ გამორიცხავს, რომ პუტინი უკრაინაში შეჭრის ნაცვლად ევროპის დაშინებას სხვა გზით ეცდება. მას მხედველობაში აქვს რუსეთის მოკავშირე ბელარუსში მუდმივი რუსული სამხედრო კონტინგენტის განთავსება. ამით პირდაპირ საფრთხეს შეუქმნიან პოლონეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებს. ჯოშის პროგნოზით, კრემლი, შესაძლოა, ფიქრობდეს ხანგრძლივ სამხედრო ინტეგრაციაზე ბელარუსში.

მისი თქმით, ამჟამად რუსეთს ჯარის ნაწილები ბელარუსში უკვე შეყვანილი ჰყავს. ამას უწოდებენ რუსეთ-ბელარუსის წვრთნებს. სინამდვილეში, ეს არ არის წვრთნა. ეს ღონისძიება არ ყოფილა დაგეგმილი.

27 თებერვალს ბელარუსში ტარდება საკონსტიტუციო რეფერენდუმი (მასში მონაწილეობა შესაძლებელია 22 თებერვლიდან). ბრიტანელი ექსპერტი ვარაუდობს, რომ რეფერენდუმის შემდეგ რუსეთი უზრუნველყოფს ბელარუსში თავის სრულმასშტაბიან ყოფნას, რითიც დაემუქრება ევროპის უსაფრთხოებას.

ბელარუსის პრეზიდენტ ლუკაშენკოს თავისი პროგნოზები აქვს. ლუკაშენკო დარწმუნებულია, რომ 15 წელიწადში რუსეთ-ბელარუსის კავშირს უკრაინაც მიუერთდება. გარდა უკრაინისა, მას იმედი აქვს, რომ კავშირის წევრები გახდებიან ყაზახეთი, რომელმაც იანვარში კარგი გაკვეთილები მიიღო, ასევე – უზბეკეთი, თურქმენეთი და ტაჯიკეთი.

როგორც ჩანს, დასავლეთის გავლენის ზრდას ყოფილ პოსტსაბჭოთა სივრცეში პუტინი და ლუკაშენკო უპირისპირებენ გადაკეთებული საბჭოთა კავშირის აღდგენის იდეას. ამ ფონზე ყველგან გააქტიურებულია რუსეთის მეხუთე კოლონა. მათ შორის საქართველოშიც.

ეკონომიკა

ყვავილების ბიზნესისთვის 2022 წელიც პრობლემური იქნება

კოვიდ-19-ის გავრცელებამ საქართველოში ყვავილების ბიზნესს პრობლემა ყველაზე მეტად შეუქმნა. როგორც ყვავილების მაღაზიების წარმომადგენლები „კომერსანტთან“ ამბობენ, პანდემიამდე პერიოდთან შედარებით, ფასები გაორმაგებულია, რამაც რეალიზაცია მკვეთრად შეამცირა. საფასო ცვლილება ბაზარზე ლოგისტიკის გაძვირებას უკავშირდება. ქართველი მეწარმეების ერთი ნაწილი იმასაც ამბობს, რომ 2022 წელს ყვავილების ბიზნესი ტრენდული ვერ იქნება.

ყვავილების ბიზნესის ცნობილი წარმომადგენლები იმედს სადღესასწაულო პერიოდზე ამყარებენ და აღნიშნავენ, რომ 14 თებერვალს, ე.წ. სიყვარულის დღესთან დაკავშირებით, ასევე 3 და 8 მარტს რეალიზაციის ტემპი გააქტიურდება.

შესაბამისად, როგორც მაღაზია „კამელიას“ მენეჯერი მანანა კონდრატიევა ამბობს, ყვავილების ბიზნესისთვის 2021 მძიმე წელი იყო და გაუმჯობესების ტენდენცია არც ჯერჯერობით იგრძნობა, სადღესასწაულო პერიოდს თუ არ ჩავთვლით.

– პანდემიამ ყველაფერზე იმოქმედა, მაგრამ განსაკუთრებით ყვავილების რეალიზაციაზე, რაც მასშტაბურ გაძვირებას უკავშირდება. პანდემიამდე პერიოდთან შედარებით, ყვავილი 2-ჯერ ძვირი ღირს. პირობითად, 1 ტოტი ვარდის ღირებულება თუ 3 ლარი იყო, 6-7,50 ლარის ფარგლებშია. ლოგისტიკა ძალიან ძვირია, ძირითადად იმპორტზე ვართ დამოკიდებული, ქართული ყვავილები ფაქტობრივად არ არის ბაზარზე. გაძვირების პარალელურად, მომხმარებელმაც იკლო. ყვავილი ყველაზე მეტად დღესასწაულზე იყიდება, წინ 14 თებერვალია, რაზეც დიდ იმედს ვამყარებთ. ამ პერიოდში, ჩვეულებრივ პერიოდთან შედარებით, 3-ჯერ მეტი მოთხოვნაა. ვფიქრობ, ეს ტენდენცია წელსაც შენარჩუნდება, – ამბობს „კომერსანტთან“ მანანა კონდრატიევა.

ყვავილების მაღაზია „ლანას ყვავილების“ მფლობელი ლანა ნიკოლეიშვილი ყვავილების ბიზნესის ბოლოდროინდელ ტენდენციაზე საუბრობს. მისი თქმით, ქორწილებსა და დაბადების დღეებს ნაკლებად იხდიან, ამიტომ შეკვეთებმაც იკლო და ყვავილი ძირითადად აუცილებელი საჭიროებისას იყიდება.

– მომხმარებლების 99% ყვავილს ყიდულობს იმის გამო, რომ ამის საჭიროებაა – პანაშვიდზე მისატანად, წვეულებისთვის და ქორწილისთვის. სხვა დანიშნულება ყვავილმა ფაქტობრივად დაკარგა. იშვიათად, რომ ადამიანებმა ყვავილი ინტერიერის გალამაზების მიზნით შეიძინონ, ამის სურვილი დღესდღეობით აღარც არის. პანდემიისას ხალხი პანაშვიდებზე არ დადის, მაგრამ ყვავილებს აგზავნიან. რთული მოცემულობაა – კორონავირუსის გამო ქორწილები თითქმის არ ეწყობა, დაბადების დღეებსაც იშვიათად იხდიან, ამიტომ შეკვეთებიც ნაკლებადაა. ხოლო ფასები კატასტროფულად გაზრდილია. ამ დროს არის შემთხვევები, რომ ტრანსპორტირება გვიანდება, საბაჟოზეც გარკვეული შეფერხებებია და სხვა. ეს ყველაფერი ფასებზე აისახება, მომხმარებელს კი ძვირი ყვავილის შეძენა უჭირს. ხშირადაა, როცა ადამიანი შემოდის და გვეკითხება, გვაქვს თუ არა 5 და 10-ლარიანი ყვავილები, ამ ფასად კი ყვავილის გაყიდვა რეალურად წარმოუდგენელია. 1 შეკვრა მიხაკი 8 ლარი თუ ღირდა, დღეს მისი ფასი 15 ლარის ფარგლებშია. 1 ვარდი 5,50 ლარზე ნაკლებად არ შემოდის, საკმაოდ რთული სიტუაციაა. ძირითადად იმპორტზე ვართ დამოკიდებული, მაგრამ ყვავილების სათბურების მოწყობა და მოშენება აქაც შესაძლებელია, ამაზე უნდა ვიზრუნოთ, თუ გვინდა, რომ ადგილობრივი წარმოება და ბიზნესი განვითარდეს“, – ამბობს ლანა ნიკოლეიშვილი „კომერსანტთან“.

მაღალი ხარჯის გამო უჭირთ ყვავილების სასათბურე მეურნეობებს. ზოგიც იძულებული გახდა, სტრატეგია შეეცვალა და ყვავილების ბიზნესი შეეჩერებინა. ერთ-ერთი ასეთია გარდაბნელი მეწარმე პაატა რაჭველიშვილი, რომლის ინფორმაციითაც, ყვავილების სათბურიდან აქცენტი ბოსტნეულ კულტურებზე გადაიტანა და ამ დროისთვის ვარდი 100%-ით ჩაანაცვლა სალათის ფოთლებით.

– პანდემია დაიწყო და უმოკლეს პერიოდშივე დავინახეთ, რომ ყვავილების ყიდვა არავის სურდა. გაგვიმართლა იმ მხრივ, რომ პანიკას არ ავყევით, მალევე მოვეგეთ გონს და მაშინვე გადავერთეთ სხვა კულტურაზე – ყვავილი ბოსტნეულით ჩავანაცვლეთ. ვთვლი, რომ შეცდომა დავუშვით, ვის სჭირდება ყვავილი, როცა ასეთი პანდემიაა ქვეყანაში?! ყვავილებს ახლა მხოლოდ ინტერიერის გალამაზების ფუნქცია მივანიჭეთ. ალბათ, ეს დროც დაბრუნდება, მაგრამ პანდემიისას ყვავილების ბიზნესი აშკარად წამგებიანია, – ამბობს მეწარმე.

რაჭველიშვილი ვარაუდობს, რომ 2022 წელს ყვავილების ბიზნესი ტრენდული აღარ იქნება და ამიტომ აპირებს, ისევ ბოსტნეულის ხაზი განავითაროს, რაც გაცილებით მეტი მოგების მომტანია.

ცნობისთვის, 2021 წელს, საქართველოში მოჭრილი ყვავილებისა და კოკრების იმპორტი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაიზარდა. გასულ წელს ქვეყანაში 2.2 მლნ აშშ დოლარის 878.5 ტონა ყვავილის იმპორტი განხორციელდა. 2020 წელს კი 1.5 მლნ აშშ დოლარის ღირებულების (505.6 ტონა). პანდემიამდელ 2019 წელს კი, 2.5 მლნ აშშ დოლარის 126.4 ტონა მოჭრილი ყვავილები და კოკრები შემოვიდა.

სომხეთი, ეკვადორი, თურქეთი, კენია და ნიდერლანდები – ძირითადად 5 ქვეყანაა, სადაც საქართველო ყვავილებს ყიდულობს.

კომერსანტი

ბათუმის მუნიციპალიტეტმა შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთების გარეშე ანაზღაურების მიზნით 107.051 ლარი გასცა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის დასკვნა გამოაქვეყნა.

პრობლემებს შორის მთავარი შრომის ანაზღაურების ნაკლოვანებებია, კერძოდ, აუდიტის დასკვნის მიხედვით, მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს ფაქტობრივად ნამუშევარი დროის აღრიცხვის სისტემა. გარკვეულ შემთხვევაში, აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებში შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული პირები მიიღებოდნენ მუდმივი ამოცანების შესასრულებლად, ხოლო მათ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულება დოკუმენტურად არ დასტურდება. აღნიშნული გარემოება შრომის ანაზღაურების სახით გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვასთან მიმართებით.

აუდიტის პერიოდში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებზე შრომის ანაზღაურების სახით გაცემულია სულ 1.474.674 ლარი, მათ შორის, თანამდებობრივი სარგო 1.426.468 ლარი, პრემია/ჯილდო 46.806 ლარი და დანამატი – 1.400 ლარი. აღსანიშნავია, რომ პრემია და დანამატი გაცემულია 2019 წელს, თუმცა ნამუშევარი დროის აღრიცხვის გაუმართავი სისტემის გამო, ფაქტობრივად ვერ მოხერხდა შესაფერისი დოკუმენტური მტკიცებულებების მოპოვება ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათების შესახებ. რიგ შემთხვევებში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების დასაქმება ხორციელდებოდა მუდმივი ამოცანების შესასრულებლად.

გარდა ამისა, აუდიტის ჯგუფს ვერ წარმოუდგინეს დოკუმენტური მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესრულებას. საკრებულოში შტატგარეშედ დასაქმებული პირების დანიშვნასთან დაკავშირებით გამოცემული ბრძანებები არ მოიცავდა დანიშნული პირების მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობებს ან/და დავალებებს და მიეთითებოდა მხოლოდ ზოგადი უფლება-მოვალეობები. მერიაში კი, რიგ შემთხვევებში, სახელშეკრულებო სამუშაო აღწერილობების ნაწილი მოიცავდა შტატით გათვალისწინებულ თანამდებობებზე დანიშნული პირების მიერ შესასრულებელ ფუნქცია-მოვალეობებს.

ასევე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტმა 2019-2020 წლებში საკრებულოს არათანამდებობის პირებზე, შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთების გარეშე, ხარჯის ანაზღაურების მიზნით გასცა სულ 107.051 ლარი.

ბპნ

საწვავის ფასის ზრდა გარდაუვალია

ბენზინის ფასი 2022 წლის იანვარში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 37,05%-ით არის გაზრდილი, დიზელი კი 32,21%-ით არის გაძვირებული. ამის შესახებ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებიდან ირკვევა.

პარალელურად, საწვავის ფასი იზრდება მსოფლიო ბაზარზეც. ნავთობიმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე, ვანო მთვრალაშვილი, რადიო „პალიტრასა“ და „პალიტრანისუსის“ გადაცემა „საქმეში“ ამბობს, რომ საწვავზე ფასი კიდევ გაიზრდება, პროცესს კი ლარის გამყარება აჩერებს.

მისივე თქმით, მსოფლიო ბაზარზე ნავთობის გაძვირების მასშტაბის ასახვას ხელი ქართული კომპანიების მიერ დეკემბერში გაკეთებულმა დიდმა მარაგებმაც შეუშალა.

– ნავთობის ფასი 2014 წლის ოქტომბრის შემდეგ ახლა ყველაზე მაღალ მაჩვენებელზეა. უფრო ზუსტად, პლატცის მიხედვით, ბენზინის და დიზელის ფასი წლის დასაწყისიდან დაახლოებით 100 დოლარით გაიზარდა, რაც 14-15%-იანი მატებაა. გამოდის, ერთის მხრივ ჩვენ გვაქვს საერთაშორისო ბაზარზე ფასების მატება, მაგრამ ქვეყნის შიგნით, ლარის გამყარება იწვევს პოზიტიურ დინამიკას. ეს ორი შემადგენელი ნამდვილად ძირითადია ფასში.

ახლა კორექტულიც არ იქნება იმაზე საუბარი, თუ რა მოცულობით და როდის გაიზრდება საწვავის ფასი, რადგან კომპანიებს იმპორტის ინდივიდუალური რეჟიმი აქვთ. მიმდინარე ეტაპზე იმპორტი გაზრდილი ფასით შემოდის და როცა ბაზარი ახალი ფასით ნაყიდი საწვავით გაჯერდება, ფასი ცხადია გაიზრდება. ბიზნესს სხვა მოცემულობა არ გააჩნია. მიმდინარე ეტაპზე ყველაზე იდეალური იქნება, რაც შეიძლება დიდხანს შენარჩუნდეს არსებული ფასები.

მიმდინარე ეტაპი უფრო მოლოდინის რეჟიმია, თუ ლარის გამყარება ისეთივე შეუქცევადი ტემპით გაგრძელდა, როგორსაც ჩვენ ვაკვირდებით, ეს დადებითი მოვლენა იქნება და ზრდის წნეხს შეამცირებს.

ნებისმიერ ქსელურ სადგურს აქვს 10-20-დღიანი ნაშთი მარაგების სახით. უბრალოდ, დეკემბერში, გამომდინარე იქედან, რომ იანვრის დიდი ნაწილი როგორც სხვა, ასევე ნავთობინდუსტრიისთვისაც დასვენების დღეებია, ხდება პროდუქტის მომარაგება. ისე მოხდა, რომ დეკემბერში გაცილებით დაბალი ფასები იყო, ვიდრე 2022 წლის დასაწყისიდან დღემდე და შესაბამისად, ნავთობიც ამ, დაბალ ფასში აქვთ ნაყიდი ქართულ კომპანიებს. ამასთან, იანვარში მოხმარებაც ნაკლები იყო და ეს ასტაბილურებს დღეს ფასებს, მაგრამ ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება“, – განაცხადა ვანო მთვრალაშვილმა „საქმეში“.

ინფორმაციისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ნავთობიმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარის თქმით, საწვავზე ფასის მატება, ჯერ საქართველოზე არ ასახულა ფასის მატებით, ბენზინი და დიზელი იანვრის 20 ყველაზე გაძვირებულ პროდუქტებს/საქონელს შორის მოხვდა.

ელიავას ბაზრობაზე ხანძარი მაღაზია „არჩევანს“ გაუჩნდა

გუშინ ელიავაზე ცეცხლი სამშენებლო მასალების მაღაზია „არჩევანს“ გაუჩნდა.

ტერიტორიაზე ექსპერტ–კრიმინალისტებმა დაიწყეს მუშაობა. თუმცა, პირველადი ინფორმაციით, ხანძარი ჯერ შენობას გარე ტერიტორიაზე, ხის მასალას გაუჩნდა.

დამწვარია 1000-1500 კვ.მ ფართობი – ჯამში, საუბარია 4-5 მაღაზიაზე.

საგანგებო სიტუაციების სამსახურის ინფორმაციით, არავინ დაშავებულა და დასაქმებულების ევაკუაცია დროულად მოხდა.

უკრაინაში 29 წლის ქართველი ემიგრანტი გარდაიცვალა

უკრაინაში 29 წლის ქართველი ემიგრანტი გარდაიცვალა. ცნობილია, რომ ის ოკუპირებული აფხაზეთიდან დევნილია, ხობში ცხოვრობდა და უკრაინაში უმუშევრობის გამო წავიდა, სადაც რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდა.

ბიჭი „სნოუბორდით“ სრიალის დროს ხეს შეეჯახა, რის შემდეგაც 1 კვირის განმავლობაში რეანიმაციაში იმყოფებოდა, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

მისი ცხედარი საქართველოში უკვე ჩამოასვენეს.

არსებული ინფორმაციით, სენაკში 12 წლის გოგომ თავი მოიკლა

არსებული ინფორმაციით, სენაკში, სოფელ ფოცხოში, 12 წლის გოგონამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა.

გარდაცვლილი მოზარდი ოჯახის წევრებმა იპოვეს.

რატომ დააკავეს მარტოხელა დედა ქუთაისში

ჩხრეკა მარტოხელა დედის სახლში არასრულწლოვანი ბავშვების თანდასწრებით

წუხელ, 7 თებერვალს, 8 პოლიციელი ქუთაისში ერთ-ერთი ბინაში უკანონო იარაღს ეძებდა, თუმცა მას შემდეგ, რაც ცეცხლსასროლი იარაღი ვერ იპოვეს, ახალგაზრდა ქალი დაკავეს, ბავშვები კი მინდობით აღზრდაში აჭარაში გადაიყვანეს.

ახალგაზრდა ქალის დაკავების მიზეზად წინააღმდეგობის გაწევა სახელდება.

15 წლის გოგონა პოლიციას ძალადობაში ამხელს და ამბობს, რომ აქვს დაზიანებებიც, თუმცა ამ დრომდე ექსპერტიზა არ ჩატარებულა.

პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა შსს-ს 4 თანამშრომლისა და პენიტენციარული სამსახურის 2 თანამშრომლის მიმართ დაიწყო

2021 წელს გენერალურმა პროკურატურამ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებაში არსებულ ხუთ სისხლის სამართლის საქმეზე, სისხლისსამართლებრივი დევნა შინაგან საქმეთა სამინისტროს 4 თანამშრომლისა და სპეციალური პენიტენციარული სამსახურის 2 თანამშრომლის მიმართ დაიწყო. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურიდან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის საპასუხოდ აცნობეს.

მათი ინფორმაციით, გასულ წელს, შსს-ს 4 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა 333-ე მუხლით დაიწყო, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს. ორი პირის შემთხვევაში პროკურორმა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდგომ ბრალი დააზუსტა და მათ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასთან ერთად ბრალი 1443 მუხლითაც წარედგინათ, რაც დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობას გულისხმობს.

რაც შეეხება პენიტენციარული სამსახურის ორ თანამშრომელს, უწყების ცნობით, პროკურატურამ მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებული სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებით დაიწყო.

უწყების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში (2019 წლის 1-ლი ნოემბრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით) პროკურატურამ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებაში არსებულ 11 სისხლის სამართლის საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა სულ 12 პირის მიმართ დაიწყო. აღნიშნული 12 პირიდან 10 შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი, ხოლო 2 სპეციალური პენიტენციარული სამსახურის თანამშრომელი იყო.

სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე და 1443 მუხლებით სისხლისსამართლებრივი დევნა გენერალურმა პროკურატურამ შინაგან საქმეთა სამინისტროს 8 თანამშრომლის მიმართ დაიწყო, ხოლო სხვა პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებული სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებით დაიწყო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ზემოაღნიშნული 8 თანამშრომლიდან:

5 პირი ბრალდებულად იქნა ცნობილი სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი ძალადობით). ორი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ ბრალი დააზუსტა და სისხლისსამართლებრივი დევნა სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გაგრძელდა (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი ძალადობითა და პირადი ღირსების შეურაცხყოფით);

1 პირი დაკავებულ იქნა და ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება იარაღის გამოყენებით);

1 პირი დაკავებულ იქნა და ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი პირადი ღირსების შეურაცხყოფით – სამი ეპიზოდი). აღნიშნული პირის მიმართ პროკურორმა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდგომ, ბრალი დააზუსტა და სისხლისსამართლებრივი დევნა სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი პირადი ღირსების შეურაცხყოფით – 2 ეპიზოდი) და სისხლის სამართლის კოდექსის 1443 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გაგრძელდა (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა – 1 ეპიზოდი);

1 პირი დაკავებულ იქნა და ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი ძალადობით – 1 ეპიზოდი) და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი პირადი ღირსების შეურაცხყოფით – 2 ეპიზოდი). აღნიშნული პირის მიმართ პროკურორმა, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდგომ, ბრალი დააზუსტა და სისხლისსამართლებრივი დევნა სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი ძალადობით – 1 ეპიზოდი), ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი პირადი ღირსების შეურაცხყოფით – 1 ეპიზოდი) და სისხლის სამართლის კოდექსის 1443 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გაგრძელდა (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა).

„ინფორმაციის გამოქვეყნება საჭიროებს განსაკუთრებულ სიფრთხილეს“ — ლონდა თოლორაია

„ინფორმაციის გამოქვეყნება საჭიროებს განსაკუთრებულ სიფრთხილეს“ – ლონდა თოლორაიას პასუხი მიხეილ სააკაშვილს

საქართველოს მესამე პრეზიდენტის თხოვნას სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ხელმძღვანელი სპეციალური განცხადებით პასუხობს. საუბარია მიხეილ სააკაშვილის პოსტზე, სადაც ის ლონდა თოლორაიას იმ ვიდეოჩანაწერების გასაჯაროებას სთხოვს, სადაც მესამე პრეზიდენტი გლდანის ციხეში გადაყვანის პროცესია ასახული.

სახელმწიფო ინსპექტორის განცხადებით, სისხლის სამართლის საქმის მასალებზე წვდომის უფლებამოსილების მქონე პირთა წრე კანონით მკაცრად განსაზღვრულია. უწყების ინფორმაციით, მასალების გასაჯაროების გადაწყვეტილება მიღებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საფრთხე არ შეექმნება პროცესის მონაწილეთა უფლებებს, უსაფრთხოებას და ეს არ იქნება გამოძიების შემაფერხებელი.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის მიმართ არსებობს მაღალი საჯარო ინტერესი (რასაც სამსახური პატივს სცემს), საგამოძიებო ორგანო უპირველეს ყოვლისა ხელმძღვანელობს კანონით. სისხლის სამართლის საქმის გამოძიება არის სამართლებრივი პროცესი. შესაბამისად, საგამოძიებო ორგანოს ქმედება უნდა იყოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისი.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სისხლის სამართლის საქმის მასალებზე წვდომის უფლებამოსილების მქონე პირთა წრე მკაცრად განსაზღვრულია. მით, უფრო იმ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელზეც არ არის დასრულებული გამოძიება და არ არის მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება.

შესაბამისად, გამოძიების დასრულებამდე სისხლის სამართლის საქმის მასალებისა (მათ შორის, ვიდეოჩანაწერების) და გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება, საჭიროებს განსაკუთრებულ სიფრთხილეს. მით უფრო იმ პირობებში, როდესაც სამსახურს არ აქვს მიღებული მნიშვნელოვანი ექსპერტიზის დასკვნები, მათ შორის, ვიდეოჩანაწერების ავთენტურობის დამადასტურებელი დასკვნები.

ამასთან, საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ადვოკატებისთვის (რომლებსაც გამომძიებელი აწვდის სრულყოფილ ინფორმაციას გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და აქვთ საგამოძიებო ორგანოსთან შეფერხების გარეშე კომუნიკაციისა და მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა) ცნობილია, რომ მხოლოდ მათი თანხმობა ან/და სურვილი ვერ გახდება საქმის მასალების გასაჯაროების საფუძველი. მასალების გასაჯაროების გადაწყვეტილება მიღებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საფრთხე არ შეექმნება პროცესის მონაწილეთა უფლებებს, უსაფრთხოებას და ეს არ იქნება გამოძიების შემაფერხებელი.

სამსახური აქტიურ კოორდინაციაში რჩება ადვოკატებთან და გააგრძელებს მათთვის გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, – ნათქვამია უწყების განცხადებაში.

გიორგი სანაიას ყოფილი ცოლის სახლი გატეხეს

„ფორმულას“ ინფორმაციით, გიორგი სანაიას ყოფილი მეუღლის, ხათუნა ჩხაიძის სახლი გატეხეს. ადგილზე საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

უცნობია, თუ რას ეძებდნენ ჟურნალისტის ყოფილი ცოლის სახლში, თუმცა, „ფორმულას“ ინფორმაციით, წაღებული არაფერია.

აღსანიშნავია, რომ 27 იანვარს ვახო სანაიას ეთერში საქმის ოქროს მოწმემ რეზონანსული განცხადებები გააკეთა. კონსტანტინე ციხისთავმა განაცხადა, რომ ჟურნალისტის მკვლელობა პრემიერ ღარიბაშვილის სიმამრმა, თამაზ თამაზაშვილმა, მაშინდელმა შს მინისტრის მოადგილემ ვლადიმერ ბაკურაძემ და შოთა ჭიჭიაშვილმა დაგეგმეს და შეასრულეს.

პირველადი დათვალიერებით ადგილიდან არაფერი დაკარგულა. როგორც ჩხაიძემ ფორმულას განუცხადა, მას ბინაში არეულობა დახვდა.

– შემატყობინეს, რომ ჩემი სახლის კარები იყო ღია. აღმოჩნდა, რომ პოლიციელებიც უკვე მოსულები იყვნენ. გარედან გასაღების ადგილი იყო ჩაკეტილი. შიგნით, სახლში ნივთები იყო არეული. ზოგიერთი უჯრა იყო არეული, ზოგი კი ხელუხლებელი. რამე წაიღეს თუ არა ჯერ არ ვიცი, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი ჩანს დაკარგული სახლიდან. ვინ იყო შემოსული და რა მიზნით ჩემთვის უცნობია. ასეთი რამ არ მომხდარა, პირველი შემთხვევაა და ძალიან გაკვირვებული. მინდა ჩატარდეს გამოძიება და დაადგინონ ვინ იყო შემოსული. შეიძლება რამდენიმე პირიც იყო შემოსული, – განაცხადა ჩხაიძემ.

კიევში უცნობმა პირებმა ზურაბ ადეიშვილს სცემეს

როგორც კიევის პოლიციაში აცხადებენ, ადეიშვილს ოთხი დაუდგენელი პირი დაესხა თავს, სცემეს და გაუჩინარდნენ.

მათივე ცნობით, მიყენებული დაზიანების გამო ადეიშვილის ჰოსპიტალიზაცია გახდა საჭირო.

ბაიდენი გერმანიის კანცლერს შეხვდება

საერთაშორისო დაძაბულობამ თითქოს იკლო. ვლადიმერ პუტინის ვიზიტმა ჩინეთში კრემლის მესვეურის იმედები ვერ გაამართლა. ჩინეთის ლიდერმა სი ცზენპინმა პუტინს აგრძნობინა, რომ უკრაინაში ინტერვენციას მხარს არ უჭერს. ამან ძლიერ იმოქმედა რუსი დიპლომატების პოზიციაზე. მათი რიტორიკა ნაკლებ აგრესიული გახდა. მიუხედავად ამისა, საბოლოო დეესკალაციამდე ჯერ შორსაა.

ამ ფონზე გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი ვაშინგტონში მიემგზავრება. ის პრეზიდენტ ბაიდენს შეხვდება. მოლაპარაკებების ძირთადი თემა უკრაინა იქნება. მხარეები კორონავირუსის პანდემიის შედეგად შექმნილ პრობლემებსაც მიმოიხილავენ.



– ჩემი ვიზიტი ვაშინგტონში პუტინისათვის გაგზავნილი გარკვეული სიგნალია! – განაცხადა შოლცმა.

ბაიდენთან შეხვედრა 7 თებერვალს შედგა. შოლცმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი პოზიცია უცვლელია: უკრაინაში შეჭრისათვის მოსკოვს რადიკალურ სანქციებს დაუწესებენ, რაც რუსეთის ეკონომიკას საბოლოოდ დაანგრევს. ამავე დროს, შოლცმა აღნიშნა, რომ ამერიკელებისაგან განსხვავებით, უკრაინისათვის იარაღის მიწოდების წინააღმდეგია.

– მიუხედავად ამისა, ასეა თუ ისე, უკრაინის მხარდაჭერაში დასავლეთი ერთიანია! – თქვა შოლცმა.

თავად უკრაინაშიც გარე საფრთხის წინაშე არნახული ერთიანობაა. ამ საკითხში კიევი, ლვოვი, ხარკოვი, ზაპოროჟიე, ოდესა თუ ხერსონი ერთად დგანან. უკრაინელ საზოგადოებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა იმან, რომ ომის შემთხვევაში რუსეთის პირველი დარტყმა ხარკოვზე მოვა. 5 თებერვალს ხარკოვში 50.000-იანი მიტინგი გაიმართა. მის მონაწილეებს მოჰქონდათ ტრანსპარანტები: „ხელები შორს უკრაინისაგან“, „ხარკოვი უკრაინული ქალაქია“ და ა.შ.

აშშ-დან კი უკრაინაში ლეტალური იარაღის ახალი პარტია ჩავიდა. რამდენიმე დღეში ახალი ალიანსი, უკრაინა-ბრიტანეთი-პოლონეთი, უკვე ოფიციალურად გაფორმდება. გარე საფრთხის წინაშე უკრაინა ერთიანია. საერთაშორისო საზოგადოებაც მის გვერდით დგას. შოლცის ვაშინგტონში ვიზიტი ამის ნათელი დადასტურებაა.

ბაიდენმა ამერიკელ ხალხს მიმართა

აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა ამერიკელ ხალხს მიმართა. მან განაცხადა, რომ მიუხედავად პანდემიისა, ამერიკულ შრომით ბაზარზე ვითარება დასტაბილურდა.

– ამერიკამ გამოცდას ღირსეულად გაუძლო, – თქვა ბაიდენმა.

ამერიკელი მედესანტეები პოლონეთში ჩავიდნენ

ამერიკელი მედესანტეები პოლონეთში ჩავიდნენ და პოლონეთ-უკრაინის საზღვრის მახლობლად განლაგდნენ. ასეთია ვაშინგტონის რეაქცია უკრაინაში რუსეთის მოსალოდნელ შეჭრაზე.

პოლონეთის ტერიტორიაზე დღეისათვის 1.700 ამერიკელი და 300 გერმანელი ჯარისკაცი იმყოფება.

ამერიკელები რუსეთის მიერ დონბასის ანექსიას არ გამორიცხავენ

აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების დარგში სალივანმა განაცხადა, რომ რუსეთი უკრაინაში შეჭრისათვის მზადაა და შეჭრა ყოველწუთსაა მოსალოდნელი. სალივანმა აღნიშნა, რომ აშშ ნებისმიერი სიტუაციისათვის მზადაა. რუსეთს ელის მომაკვდინებელი სანქციები, რომლებიც ჩინეთზეც იმოქმედებს, რადგან რუსეთ-ჩინეთის ფინანსური სისტემები გადაჯაჭვულია.

– ჩინეთს აქვს არჩევანი: ან სანქციებს შემოუერთდეს, ან ჯარიმა გადაიხადოს. ამ შემთხვევაში მასაც, რუსეთის მსგავსად, კოლოსალური ხარკის გაღება მოუწევს, – ამბობს სალივანი.

ლიზ ტრასი: „რუსეთი ცრუობს!“

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ტრასის თქმით, რუსეთის განცხადება იმის შესახებ, რომ უკრაინის მიმართ აგრესიული გეგმები არა აქვს, სიმართლეს არ შეეფერება.

– რუსეთი ცრუობს, – თქვა ტრასმა.

მომავალ კვირაში ბრიტანელი მინისტრი ეწვევა მოსკოვს, სადაც შეხვდება თავის რუს კოლეგას, ლავროვს.

ჩეხეთის პრეზიდენტი უკრაინაში ჩეხი ჯარისკაცების გაგზავნის წინააღმდეგია

ჩეხეთის პრეზიდენტმა ზემანმა განაცხადა, რომ უკრაინაში ჩეხი ჯარისკაცების გაგზავნის წინააღმდეგია.

– უკრაინა ჩვენი პრობლემა არაა, – თქვა ზემანმა.

ამას უმალ მოჰყვა კიევის რეაქცია. უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა კულებამ განაცხადა, რომ ჩეხეთის პრეზიდენტი დასავლეთის ერთიანობის დარღვევას ცდილობს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების, ფსორიაზის სამკურნალოდ. მალამო გამოყენების შემდეგ ხსნის დაჭიმულობას წელიდან მუხლამდე, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში, ხსნის სიმძიმეს, წვას. მკურნალობისას ქრება ტკივილები. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

სპრეი მენტორი 7

გამოიყენება გაცივებისას, სურდოს, პლევრიტისა და ალერგიის დროს ცხვირის არხებიდან გამონადენის შესაჩერებლად. დამზადებულია ანტიალერგიული მცენარეებისგან.

ჩვენება: ნადგურდება მავნე ბაქტერიები ცხვირის არხებსა და პირის ღრუში, თხელდება ნახველი, ძლიერდება ორგანიზმის იმუნიტეტი, უმჯობესდება სუნთქვა.

გამოყენების წესი: კარგად გავითავისუფლოთ ცხვირის არხები გამონადენისგან, შევისხუროთ სპრეი ცხვირის არხებსა და პირის ღრუში (ყელში).

წამალი სითხე მენტორი რვა

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, დაზიანებულ თავის კანში შესაზელი წამალი სითხე, სამკურნალო საშუალება მენტორი რვა.

გამოიყენება მშრალი თავის კანის, ქავილის, ქერტლის, ფსორიაზის, გამონაყარის, ალერგიის, ნაოჭების სამკურნალოდ. ბამბა უნდა დავასველოთ წამალში და შევიზილოთ მშრალი თავის კანის ძირებში, უნდა გავაჩეროთ 15-20 წუთი, შემდეგ ჩამოვიბანოთ თბილი წყლით. ეს პროცესი უნდა გავიმეოროთ ყოველი თავის დაბანის დროს. მკურნალობისას მაგრდება თმის ძირები, ქრება ქავილი, ქერტლი, გამონაყარი, ნადგურდება სოკოვანი დაავადება.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

ვახტანგ ნიკოლავა სენაკის თეატრს უხელმძღვანელებს

რეჟისორი ვახტანგ ნიკოლავა სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია. „პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იგი მოცემულ პოზიციას ოთხი წლის ვადით, 1 მარტიდან დაიკავებს. ამის შესახებ შესაბამისი ბრძანება უკვე გამოიცა.

ვახტანგ ნიკოლავა დღემდე არასოდეს ყოფილა სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და იგი ამ პოზიციაზე პირველად ინიშნება. მას დამთავრებული აქვს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი – თეატრის რეჟისურა, სხვადასხვა წლებში იყო სამსახიობო სტუდიის ხელმძღვანელი, რეჟისორი, გრიბოედოვის თეატრის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის მსახიობი, რეჟისორი, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგი.

სენაკის დრამატულ თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელის შესარჩევად კონკურსი შარშან, 22 დეკემბერს გამოცხადდა. კონკურსში მონაწილეობა მიიღო ხუთმა კანდიდატმა, რომელთაგან სამინისტროსთან არსებული პროფესიული სახელმწიფო თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების კანდიდატთა შესარჩევ სარეკომენდაციო საბჭოს სამინისტრომ განსახილველად ორი კანდიდატურა წარუდგინა – მსახიობი კახაბერ მიგინეიშვილი და რეჟისორი ვახტანგ ნიკოლავა. სარეკომენდაციო საბჭომ განიხილა მოცემული კანდიდატურები და მათგან შეარჩია და მინისტრს დასანიშნად წარუდგინა რეჟისორ ვახტანგ ნიკოლავას კანდიდატურა.

სამინისტროსთან არსებული პროფესიული სახელმწიფო თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების კანდიდატთა შესარჩევი სარეკომენდაციო საბჭოს დებულების თანახმად, დებულება, მინისტრის ბრძანებით, გასული წლის 6 დეკემბერს დამტკიცდა, სამხატვრო ხელმძღვანელების კანდიდატთა შესარჩევ კონკურსს აცხადებს სამინისტრო, ხოლო კანდიდატთა შესარჩევი საკონკურსო პირობები კანონმდებლობით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით განისაზღვრება. ამასთან, სამინისტრო წარდგენილი კანდიდატებიდან შეარჩევს არანაკლებ 2 და არაუმეტეს 3 კანდიდატს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წარდგენილია მხოლოდ ერთი კანდიდატი. შერჩეულ კანდიდატთა სია წარედგინება სარეკომენდაციო საბჭოს, რომელიც შეარჩევს სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე დასანიშნ კანდიდატურას და დასანიშნად წარუდგენს კულტურის მინისტრს.

სარეკომენდაციო საბჭო ვალდებულია, კანდიდატის წარდგინებიდან 1 თვის ვადაში მინისტრს თავისი რეკომენდაცია წარუდგინოს.

ძუ ლომმა ზოოპარკის ზედამხედველი მოკლა და მამრთან ერთად გაიქცა

ირანის ქალაქ ერაკში ძუ ლომმა ზოოპარკის თანამშრომელი იმ დროს მოკლა, როდესაც ის მას საკვებს აძლევდა და მამრ პარტნიორთან ერთად გაიქცა.

40 წლის ქალი, გვარად ესფანდანი, ლომებს საკვებს ვოლიერის სპეციალური სარკმლიდან აძლევდა. ერთ მომენტში მტაცებლებმა მოულოდნელად გალიის გაღება მოახერხეს და გარეთ გამოცვივდნენ. ძუ ლომი ზოოპარკის თანამშრომელს თავს დაესხა და მოკლა.

ლომების წყვილი პარკის ტერიტორიაზე მანამდე დასეირნობდა, სანამ ისინი დაცვის თანამშრომლებმა და პოლიციელებმა არ დაიჭირეს. ხელისუფლებამ მომხდარის გამოძიება დაიწყო.

მონადირემ მოკლა ალიგატორი, რომელიც წლების განმავლობაში პირუტყვს იტაცებდა

ამერიკის ფლორიდის შტატში მონადირემ მოკლა ოთხმეტრიანი ალიგატორი, რომელიც წლების განმავლობაში გამუდმებით იტაცებდა შინაურ პირუტყვს.

დაგ ბორისს მეგობარმა უამბო ტბაში ბინადარი უზარმაზარი რეპტილიის თაობაზე და ის ადგილიც აჩვენა.

– ამ ყმაწვილმა მითხრა, რომ აქ ბავშვობიდან ხედავს ალიგატორს. დრო იყო, რეპტილიისთვის ანგარიში გაგვესწორებინა, ვინაიდან ადგილობრივებს გამუდმებით ეკარგებოდათ შინაური პირუტყვი. როდესაც ირემზე ვნადირობდით, მან მკითხა, მინდოდა თუ არა ალიგატორზე ნადირობა. მე დავთანხმდი, – განაცხადა ბორისმა.

მონადირემ რეპტილია ტბაში მდებარე კუნძულზე მოკლა.

– ასეთი რამ ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ ხდება და მე გამიმართლა. ტყვია შორი მანძილიდან მოვარტყი. აი, რატომაა სასარგებლო კარგი იარაღის ქონა, – ხაზგასმით აღნიშნა მონადირემ. მოკლული ალიგატორის წონამ 410 კილოგრამი შეადგინა.

პენსიონერმა შვილობილის გადასარჩენად თავი გაწირა

ჰონგ კონგის მახლობლად მდებარე კუნძულ ტუნ ლუნ ძაუზე პენსიონერმა თავი გაწირა შვილობილის გადასარჩენად, როდესაც მის საშველად ზღვაში გადახტა.

სამშაბათს, 1 თებერვალს, პოლიციამ 71 წლის მამაკაცი და 22 წლის გოგონა სამხრეთ ჩინეთის ზღვაში, კუნძულის სამხრეთ ნაწილიდან დაახლოებით 30-40 მეტრში იპოვა. გაირკვა, რომ ისინი მამობილი და შვილობილი იყვნენ. იქვე ახლოს მყოფი მოქალაქეების დახმარებით პოლიციამ წყვილის ზღვიდან ამოყვანა მოახერხა. მამაკაცი უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა.

დაშავებულები სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც პენსიონერი მამაკაცის გარდაცვალება დაფიქსირდა. გაირკვა, რომ მისი შვილობილი კუნძულის სანაპიროზე ფოტოსურათების გადაღებით იყო დაკავებული, როდესაც მოულოდნელად წყალში აღმოჩნდა და დინებამ გაიტაცა. შვილობილის გადასარჩენად მამობილი ზღვაში გადახტა, თუმცა დაიღუპა.

ქალმა კაზინოში ჯეკპოტი მოხსნა და ეს დღე ცხოვრებაში ყველაზე უარეს დღედ გამოაცხადა

ინგლისის ესექსის საგრაფოს მკვიდრმა ქალმა ისაუბრა იმის თაობაზე, თუ როგორ იქცა მის ცხოვრებაში ყველაზე უარეს დღედ ის დღე, როდესაც პოკერის ტურნირზე ჯეკპოტი მოხსნა. ამის შემდეგ ის გაკოტრდა, დაკარგა სახლი და მთელი ქონება.

48 წლის ლიზა უოკერი აზარტულმა თამაშებმა პირველად ბავშვობაში გაიტაცა, როდესაც მისი მამა და პაპა ბანქოს თამაშობდნენ. მაშინ ის 50 პენამდე ფსონს ჩადიოდა. ის უდიდეს აღფრთოვანებას განიცდიდა სულ უმნიშვნელო მოგების მიღებისგანაც კი.

როდესაც 18 წლის გახდა და კაზინოში ლეგალურად თამაში შეეძლო, მისი აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება კიდევ უფრო გაძლიერდა. 29 წლის ასაკში ქალმა 127 ათასი ფუნტი სტერლინგის ოდენობის ჯეკპოტი მოხსნა პოკერის ტურნირზე. მას შემდეგ ქალი კაზინოს ატმოსფერომ მონუსხა, ხოლო მოგება უფრო ხშირად თამაშის საშუალებას აძლევდა. როგორც წესი, ის კაზინოში კვირაში ოთხ ან ხუთჯერ შედიოდა, შედეგად კი იქ დღეში რვა-ათ საათს ატარებდა.

ბოლო 20 წლის განმავლობაში ქალმა დაახლოებით ნახევარი მილიონი ფუნტი წააგო. ოდესღაც მოგებული თანხის გარდა, უოკერმა სამჯერ დააგირავა საკუთარი სახლი იმისთვის, რომ კაზინოში თამაში გაეგრძელებინა. საბოლოოდ ამ ყოველივემ ქალი დიდ ვალებში ჩააგდო. ის იძულებული გახდა, თავი გაკოტრებულად გამოეცხადებინა და სახლი გაეყიდა.

– აუტანლად მძიმეა იმაზე ფიქრი, როგორი ცხოვრება შეიძლება მქონოდა: მქონდა საკუთარი სახლი, შეიძლებოდა, რომ არ მქონოდა ვალები და იპოთეკა, მაგრამ ამ ყოველივეს ნაცვლად თვითგანადგურების გზა ავირჩიე, – განაცხადა უოკერმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

ფრე პორტუგალიასთან და ბოდიში გულშემატკივარს

საქართველო-პორტუგალია 25:25

საქართველოს ნაკრებმა 2022 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის პირველ მატჩში „მიხეილ მესხზე“ პორტუგალიას უმასპინძლა და მხოლოდ ფრეს გამორჩა – 25:25.

პორტუგალიელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მაღალი დონის თამაში აჩვენეს და თბილისიდან ქულების წაღება დაიმსახურეს. პირენეელები მთელ რიგ კომპონენტებში უპირატესობას ფლობდნენ, „ბორჯღალოსნებმა“ კი, პირიქით, თამაშის დალაგება ვერაფრით შეძლეს. ლევან მაისაშვილის შეგირდებმა საკუთარი დერეფნების დიდი ნაწილი დათმეს, ვერც შეტევითი კომბინაციები ააწყვეს, ინდივიდუალური შეცდომები დაუშვეს, ხშირი იყო ტექნიკური წუნი და დისციპლინის დარღვევა. ეპიზოდური გამონათებები კი გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

ისიც სათქმელია, რომ ტრავმებისა და კოვიდპანდემიის გამო სამწვრთნელო შტაბს რამდენიმეჯერ მოუწია გაფართოებული შემადგენლობის შეცვლა და მზადებამაც ფორსმაჟორულ სიტუაციაში ჩაიარა, მაგრამ თამაშის ხარისხის კუთხით მაინც უკეთესის მოლოდინი გვქონდა.

თამაში ორივე გუნდმა მაღალ ტემპში დაიწყო, მაგრამ ხაზზე ბურთის გაშლის მცდელობები ტექნიკური წუნით სრულდებოდა, დერეფანში დაკარგული ბურთების წყალობით კი რამდენიმეჯერ პლაცდარმი შესატევი დაიკარგა.

პორტუგალიამ ამ სიტუაციით კარგად ისარგებლა, ბურთზე კონტროლი დაამყარა და მე-10 წუთზე ჯარიმით დაწინაურდა. თედო აბჟანდაძემ 26-ე წუთზე შეძლო წონასწორობის აღდგენა, მაგრამ განახლდა თუ არა შეხვედრა, ისევ დავჯარიმდით და სამუელ მარკეშმა სტუმრები კვლავ დააწინაურა.

შეხვედრის პირველი ღელო 30-ე წუთზე გავიდა: ლაშა ხმალაძემ ცენტრში გადაკიდებული ბურთი აიღო და ვანო კარკაძეს გაატანა, მერე ბურთი ხაზზე გავიდა, აკა ტაბუცაძე 2 მბოჭავს დაუსხლტა და მე-13 სანაკრებო ღელო გაიტანა. აღსანიშნავია, რომ მოქმედ „ბორჯღალოსნებს“ შორის ეს საუკეთესო მაჩვენებელია. აბჟანდაძემ გარდასახა – 10:6.

37-ე წუთზე, ცენტრში დანიშნული შერკინების შემდეგ, სტუმრებმა ბურთი ხაზზე გაიტანეს, შეტევაში მანუელ კარდოზუ-პინტუ მაღალ სიჩქარეში ჩაერთო, ორ მცველს შორის ხაზი სუფთა გაჭრა და საპასუხო ღელო გაიტანა. გარდასახვა არაზუსტი იყო. საქართველომ ტაიმი მაინც მოიგო, მეტოქის 22-ში მოგებულ დერეფანს ჯარიმა მოჰყვა, გელა აფრასიძემ ბურთი სწრაფად გაითამაშა და არეული შეტევა გრიგორ ქერდიყოშვილის ღელოთი დასრულდა – 15:11.

მე-2 ტაიმის დასაწყისში მოგებულ დერეფანს ჯარიმა მოჰყვა და აბჟანდაძემ 3 ქულად აქცია – 18:11. თუმცა 49-ე წუთზე მირიან მოდებაძემ ყვითელი ბარათი მიიღო და რიცხობრივ უპირატესობაში მეტოქემ 14 ქულა მოიპოვა. როდრიგუ მარტამ ფეხით გადაკიდებულ ბურთზე საჰაერო ბრძოლა მოიგო და ღელო ალამთან გაიტანა, 58-ე წუთზე კი პორტუგალიელთა სწრაფი შეტევა ჟოზე ლიმას ღელოთი დასრულდა და ორივე გარდასახვა ზუსტი იყო.

საქართველო ღელო-გარდასახვით ჩამორჩა, მაგრამ შეცვლების შემდეგ დერეფანში თამაში გამოსწორდა და მასპინძელთა უპირატესობა შერკინებაშიც გამოიკვეთა, რასაც 65-ე წუთზე ღელო მოჰყვა: დერეფნის შემდეგ 5-მეტრიანი შერკინება მივიღეთ, საიდანაც თორნიკე ჯალაღონიამ შეუტია და ღელო გაიტანა, აბჟანდაძემ წონასწორობა აღადგინა.

სულ ბოლოს მოგების შანსი გაჩნდა. ჩვენს 22-თან დანიშნული შერკინების შემდეგ აფრასიძემ ფრთაზე ტაბუცაძეს გაატანა ბურთი, რომელიც მეტოქის ნახევარზე გადავიდა და შეტევა საპირისპირო ფრთაზე გაგრძელდა, მაგრამ დავით მესხი 22-ში შეაჩერეს, ფორვარდების დარტყმების სერიის შემდეგ კი, ბურთი 5-მეტრიანთან დაიკარგა და მატჩიც 25:25 დასრულდა.

ლევან მაისაშვილი:

– სამწუხაროდ, ვერ შევძელით თავიანთ პოზიციებზე პირველი ნომრების ჩამოყვანა. ჯამში 11 ასეთი მოთამაშე მოვისაკლისეთ და ამის ძირითადი მიზეზი კოვიდი იყო. მთელი კვირის განმავლობაში შემადგენლობის როტაცია, ფაქტობრივად, ყოველდღე გვიხდებოდა. კოვიდი ჰქონდა შერკინების მწვრთნელსაც, რის გამოც დერეფანსა და შერკინებაში სრულყოფილი ვარჯიშის ჩატარება ვერ შევძელით. გამოძახებული 3 ძირითადი კვაჭიდან 3-ვე ამ მიზეზით დაგვაკლდა, რამაც დიდი გავლენა იქონია და 8-9 საკუთარი დერეფანი წავაგეთ. ეს ნიშნავს, რომ, ფაქტობრივად, ბურთი არ გვქონია. რამდენიმე მოთამაშემ წნეხს ვერ გაუძლო და საბოლოოდ ასეთი სურათი მივიღეთ.

არ მინდა, წვლილი დავუკარგო პორტიგალიელებს. ეს გუნდი მუდამ ბოლომდე იბრძვის. ასე იყო ამჯერადაც და შედეგის მისაღწევად მაქსიმუმი გააკეთეს. შეცდომებზე ვსწავლობთ და, დიდი იმედი მაქვს, მთელი გუნდი სწორ ანალიზს გავაკეთებთ. სამწუხაროდ, შემადგენლობის მხრივ ფუფუნება არ გვაქვს. სრულფასოვანი მე-2 და მე-3 ნომრები რომ არ გვყავს, ეს როგორც მწვრთნელებმა, ასევე თავად მორაგბეებმა და გულშემატკივრებმა უნდა იცოდნენ, რათა სწორი წარმოდგენა ჰქონდეთ.

მერაბ შარიქაძე:

– ისეთ დეტალებზე უნდა ვიმუშაოთ, რაც სარაგბო ფუნდამენტია და რაზეც ყველაფერია დამყარებული. ამ ფუნდამენტთან მიმართებით დღეს არაერთი პრობლემა შეგვექმნა.

სამწუხაროა, რომ 20-მატჩიანი მოგებების სერია შევწყვიტეთ, მაგრამ ასეთი რამ ნებისმიერ გუნდს ემართება. კარგია, რომ თამაში არ წავაგეთ და, დარწმუნებული ვარ, გამარჯვებების სერია გაგრძელდება. იმედია, კოვიდიც მალე დასრულდება და ფიქრი ისეთ დეტალებზე აღარ მოგვიწევს, რაზეც მწვრთნელმა ისაუბრა.

გულშემატკივარს მინდა მივმართო. თამაში რომ დამთავრდა, პირდაპირ გასახდელში შემოვედით. არ მინდა, გულშემატკივარს ეგონოს, რომ არ დავაფასეთ და საპატიო წრე ამიტომ არ დავარტყით. უბრალოდ, მოგვერიდა, რომ მათი გულების გახარება ვერ შევძელით. მივიჩნიეთ, რომ საპატიო წრის დარტყმა არ გვეკუთვნოდა, ამის ღირსები არ ვიყავით. ყველას ვთხოვ, ჩვენი ეს საქციელი სწორად გაიგონ.

სამ წამზე ძვირფასი თავისუფლება



7 თებერვალი ლეგენდარული ქართველი კალათბურთელის, მიხეილ ქორქიას გარდაცვალების დღეა. რუსულმა მედიამ ქართველი სპორტსმენი გაიხსენა და ძალიან საინტერესო წერილი მიუძღვნა.

– გასაკვირია, რამხელა აჟიოტაჟი გამოიწვია რუსულ საზოგადოებაში ფილმმა „მოძრაობა ზემოთ“. ეს ფილმი არა მხოლოდ შემოსავლების კუთხით გახდა რეკორდსმენი, არამედ საზოგადოება აიძულა, 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ისტორიული ასპექტები შეესწავლა.

საზოგადოებრივი აზრი ორად გაიყო: ერთნი ფიქრობდნენ, რომ ფილმი, უბრალოდ, გენიალურია, მეორე მხარე მიიჩნევს, რომ ფილმში არის არაერთი შეუსაბამობა რეალურ მოვლენებთან შედარებით. გულგრილი კი ნამდვილად არავინ დარჩენილა.

ვლადიმერ კონდრაშინის გუნდის ყველაზე არაგულგრილი და ემოციური მოთამაშე ფილმში მე-2 პლანზე დარჩა. რა თქმა უნდა, საუბარია მიხეილ ქორქიაზე. 23 წლის ქართველ კალათბურთელს თავისი ცხოვრების მატჩში განსაკუთრებით ბევრი არ უთამაშია, მაგრამ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ დიდი კვალი დატოვა და პირდაპირი გავლენა მოახდინა თამაშის საბოლოო შედეგზე. ამერიკის ნაკრების ლიდერ დუაიტ ჯონსთან ხელჩართულ ბრძოლაში სწორედ ქორქია ჩაება. მსაჯმა ორივე მათგანი გააძევა თამაშიდან. ეს საბჭოთა ნაკრებს უფრო აწყობდა. ამის თაობაზე ვლადიმირ კონდრაშინმა მატჩის დასრულების შემდეგ განაცხადა – ლიძე თამაშობდა.

1973 წელს ქორქია, ნაკრების სხვა წევრებთან ერთად, საზღვარგარეთ კონტრაბანდაზე გამოიჭირეს, რაც სამუდამო დისკვალიფიკაციად და ნაკრებიდან მოკვეთად დაუჯდა. მაგრამ, როგორც ხშირად ხდება, დისკვალიფიკაცია დროებითი აღმოჩნდა. 2 წლის შემდეგ ქორქია ნაკრებში დაბრუნდა და 2-ჯერ მოიგო ევროპის ჩემპიონატის ვერცხლი, ასევე – 1976 წლის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალი.

კალათბურთის მიღმა ლეგენდები დადიოდა მიშიკოს სტუმართმოყვარეობასა და გულუხვობაზე. ცნობილია, რომ სწორედ ის დაეხმარა ალექსანდრე ბელოვს მომავალი მეუღლის გაცნობაში. გავრცელებული ხმების თანახმად, მიუნხენის ფინალის „ოქროს ქულის“ ავტორმა ბელოვმა ანალოგიურად უპასუხა ქორქიას და მომავალი მეუღლის მშობლებთან სასაუბროდ გაჰყვა.

ქორქია საბჭოთა ნაკრებში გახლდათ ყველაზე ხუმარა. ნაკრების წევრი ალექსანდრ ბოლოშოვი ყვებოდა:

– მიუნხენში გამგზავრებამდე ბაზაზე შედგა მორიგი პოლიტსხდომა. მიხეილი მიუახლოვდა ძველი პარტიული ჩინოსნების სურათებს და მთელი გრძნობით წარმოთქვა: რომელიმე მათგანი ბიძაჩემი რომ იყოს, მიუნხენის ოლიმპიადის მოგება რაღაში დამჭირდებოდაო.

ქორქიას ბიძა გახლდათ ასევე ცნობილი კალათბურთელი ოთარ ქორქია – სპორტის დამსახურებული ოსტატი, ევროპის სამგზის ჩემპიონი და ჰელსინკის 1952 წლის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი. გვარი ქორქია დღემდე ითვლება თითქმის ყველაზე საკალათბურთო გვარად საქართველოში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქორქიამ საქმიანობა ბიზნესში გააგრძელა. ამასთან ერთად, ყურადღებას სპორტსაც უთმობდა და მშობლიური ქალაქის საფეხბურთო კლუბის, ქუთაისის ტორპედოს თანამესაკუთრე გახდა. ასევე ცადა, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტი დაეკავებინა.

მიშიკოს გულის პრობლემები თავს ხშირად ახსენებდა, რომელიც 2004 წლის 7 თებერვალს გაჩერდა. მხოლოდ 13 დღე იყო გასული მისი საუკეთესო მეგობრის, ზურაბ საკანდელიძის გარდაცვალებიდან – კალათბურთელისა, რომელმაც მიიღო „ოქროს“ ტაქტიკური ფოლი მიუნხენის ფინალში და გახდა იმ 3 წამის შემოქმედი, რომლის განმავლობაშიც საბჭოთა ნაკრებმა მომგებიანი შეტევა განახორციელა.

მიხეილ ქორქია 55 წლის იყო, როცა ამქვეყნიდან წავიდა. ძალიან ადრე, ისევე, როგორც ზურაბ საკანდელიძე.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

მადლიერ პაციენთა რიცხვი ათასობითაა:

ლია თეთრაშვილი: მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

დათო ჭელიძე: წლების განმავლობაში ვიტანჯებოდი ბუასილით. ყველას ვურჩევ, მიაკითხოს ლამარა თოდუას, ნამდვილად სასწაულს ახდენს მისი მალამო.

ჟანა ამირანაშვილი: ბავშვს საბავშო ბაღში გადაედო ტილები, შემდეგ მთელს ოჯახს გადაგვდო. ლამარა თოდუას მიერ დამზადებული ნაყენით ერთ პროცედურის შემდეგ სრულიად გავთავისუფლდით.

ლილი კიზირია: 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. საქართველოს ეკონომიკის მინისტრი; 2. იტალიელი მოდელიერი; 3. რაიმე სადავო საკითხის საჯარო განხილვა-კამათი; 4. საქარგავი ფერადი ძაფი; 5. დიდი ბუ; 8. ცეკვაში სრული ბრუნი ცალი ფეხის თითის წვერებზე; 9. ჩინური ფაიფური; 12. გეომეტრიული ფიგურა; 13. ავტონომიური ოლქი ჩეხეთში; 16. ისტორიული სატუსაღო პარიზში; 17. გრეიპფრუტის ქართული სახელწოდება; 19. „ფორმულა-1“-ში მონაწილე მექსიკელი ავტომრბოლელი; 20. წმინდანად შერაცხული ქართველი არქიმანდრიტი, თეოლოგიის დოქტორი.

თარაზულად: 6. გაეროს გენერალური მდივანი; 7. პოლიციელის სახელწოდება ძველად გერმანიაში; 8. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 10. ყველაზე ღრმა ტბა მსოფლიოში; 11. ფრანგი კინოვარსკვლავი ქალი; 14. მოწინააღმდეგე კამათში; 15. განცალკევებული ოთახი ახლადდაქორწინებული ნეფე-დედოფლისათვის ძველად; 18. აეროპორტი ნიუ იორკში; 21. სპეციალური საიდუმლო დავალებით გაგზავნილი პირი; 22. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 23. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 24. ლეონკავალოს ოპერა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ხუცური; 2. კოხი; 3. შერმადინი; 4. მეგრე; 5. ლიგნიტი; 8. როდენი; 9. ანთოლოგია; 12. სამუმი; 14. ქარწბი; 16. ელისო.

თარაზულად: 1. ხვანჭკარა; 6. გემრიელი; 7. ციურიხი; 9. ერემჯი; 10. გეთი; 11. მესხეთი; 13. პაქტი; 15. ტაბიძე; 17. სინჯარა; 18. ბუგატი; 19. ტაიბეი; 20. მორავია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. სპეკალი; 2. ამსტელი; 3. შიფონერი; 4. ლოპესი; 5. კარმენი; 8. ჩაპლინი; 9. ხოჭოლავა; 12. ბარტოლდი; 13. გურზუფი; 16. ბერიკები; 17. ლაკმუსი; 19. ლაზარე; 20. მოხელე.

თარაზულად: 6. ოპტიმიზმი; 7. ხორბალი; 8. ჩხოუში; 10. კანბერა; 11. იედო; 14. ილუზიონი; 15. ბრასკუბა; 18. კესონი; 21. ალფესკო; 22. შოლცი; 23. ერზაცი; 24. ფილისტერი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

8 თებერვალი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9480

ევრო — 3.3669

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.9810

100 რუსული რუბლი — 3.9079

ამინდის პროგნოზი 8 თებერვლისათვის

დანი ალვეში: „ატლეტიკოსთან გამარჯვებით ძალიან ბედნიერი ვარ“

ბარსელონამ საკუთარ მოედანზე მადრიდის ატლეტიკო დაამარცხა 4:2 და შეხვედრაში ერთ-ერთი გოლი დანი ალვეშმა გაიტანა, რომელიც მატჩის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე იყო. ალვეშის თქმით, ის ბარსელონაში ძალიან ბედნიერია: „მიხარია, რომ იქ დავბრუნდი, სადაც ზუსტად ვიცი, ჩემი ადგილია და სადაც მაფასებენ. ატლეტიკოსთან გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანია და ბედნიერი ვარ, რომ ამის გაკეთება შევძელით“.

ალვარო მორატა: „იუვენტუსი ფორმაში შედის“

იუვენტუსმა საკუთარ მოედანზე ვერონა დამაჯერებლად დაამარცხა და ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე ალვარო მორატა იყო, რომელმაც მატჩის შემდეგ კომენტარიც გააკეთა: „მიხარია, რომ იუვენტუსმა შეძლო იმ ენერგიის პოვნა, რომელიც ჩვენ ასე გვჭირდებოდა და გვაკლდა თვეების განმავლობაში. თუ ასე გავაგრძელებთ, წარმატებას აუცილებლად მივაღწევთ“.

ანტონიო რუდიგერი, შესაძლოა, მანჩესტერ იუნაიტედის ფეხბურთელი გახდეს

ჩელსის გერმანელ მცველ ანტონიო რუდიგერს გუნდის დატოვება სურს და ეს ფაქტი ყველასთვის ცნობილია, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, თუ სად გააგრძელებს ის კარიერას. ერთ-ერთი ვარიანტი მანჩესტერ იუნაიტედია, რადგან რალფ რანგნიკს რუდიგერის თავის გუნდში ხილვა სურს. თვითონ ჩელსის ცენტრალურ მცველს ჯერჯერობით ამ საკითხზე კომენტარი არ გაუკეთებია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

სპილომ საფარის დროს ტურისტი იმსხვერპლა

უგანდის მურჩისონ-ფოლსის ეროვნულ პარკში გააფთრებულმა სპილომ ტურისტი გასრისა, რომელიც ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მანქანიდან გადავიდა. მოგზაურმა აიმან საიელ ელშახანიმ გადაწყვიტა ტუალეტში შესულიყო და დასასვენებლად შეჩერების დროს ჯგუფს გამოეყო. მამაკაცი სპილომ შენიშნა, გამოეკიდა და გასრისა. ელშახანიმ მანქანამდე, რომელშიც სხვა ტურისტები ისხდნენ, მირბენა ვერ მოასწრო და სული ცხოველის ფეხქვეშ დალია. სავარაუდოდ, ის მამრი სპილო იყო, რომელსაც შეწყვილების დრო დაუდგა. ამ დროს ცხოველებში ტესტოსტერონის დონე მატულობს, რის შედეგადაც ისინი აგრესიულები ხდებიან. პარკის ადმინისტრაციამ პოლიციის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ტურისტის დაღუპვის გარემოებების გამოძიებას დაიწყებს, რათა მომავალში მსგავსი შემთხვევები გამოირიცხოს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

8 თებერვლისათვის

ვერძი – ეს დღე საინტერესო ნაცნობობას გიქადით. იზრუნეთ საკუთარი პროფესიონალიზმის სრულყოფაზე. **კურო** – ბედი გწყალობთ. გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. **ტყუპები** – მატერიალურ მდგომარეობას არ უჩივით. შესაძლოა, ხელსაყრელი შემოთავაზებაც მიიღოთ. ნუ დაწვრილმანდებით. **კირჩხიბი** – თავს მხნედ გრძნობთ. განეწყვეთ ოპტიმისტურად. კამათში ნუ ჩაერთვებით. **ლომი** – შესაფერისი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად. ძველ მეგობარს აუცილებლად შეეხმიანეთ. **ქალწული** – ვარსკვლავები გმფარველობენ. ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. ჰარმონიული და მშვიდი დღეა. **სასწორი** – იმედიანად ხართ. ბედი არ გიმტყუნებთ. კარგი იქნება ფიზიკური დატვირთვა, ფეხით სეირნობა. **ღრიანკალი** – დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობა თქვენს ფსიქიკაზეც მოახდენს გავლენას. ბედს მიენდეთ. ვერაფერს შეცვლით. **მშვილდოსანი** – თქვენი მომხიბვლელობის წყალობით მრავალი ადამიანის გულს მოინადირებთ. პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი პერიოდი გიდგათ. ახალი ინფორმაციის გამო, შესაძლოა, გეგმები შეგეცვალოთ. **მერწყული** – გიმახვილდებათ ინტუიცია. შეგიძლიათ, სამომავლო გეგმები თამამად დასახოთ. არ მოტყუვდებით. **თევზები** – სასიცოცხლო ენერგია გემატებათ. საკუთარი ძალების იმედი იქონიეთ. გაუფრთხილდით ოჯახურ ურთიერთობებს.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– შენი აზრით, გაზეთში განცხადების გამოქვეყნებას შედეგი მოაქვს?

– რა თქმა უნდა! ამასწინათ განცხადება გამოვაქვეყნე, ჩემი მაღაზიისთვის დარაჯს ვეძებ-მეთქი და მეორე დღესვე გაქურდეს.

•••

ახალგაზრდა მამაკაცი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, უნდა დამეხმაროთ.

– მომიყევით, რაშია საქმე?

– რა და ყოველღამე ერთსა და იმავე სიზმარს ვხედავ – ვწევარ დივანზე, ამ დროს ოთახში შემორბის ხუთი უმშვენიერესი გოგონა და ტანსაცმელს მხდის.

– და თქვენ რას აკეთებთ?

– ხელის კვრით თავიდან ვიშორებ!

– და მე რით შემიძლია დაგეხმაროთ?

– თუ შეიძლება... ხელები მომამტვრიეთ!!!

•••

ხელფასის აღების შემდეგ მამაკაცი ბუღალტერს ეუბნება:

– თქვენ ხელფასზე 20 ლარი დამაკელით.

– მართალია, მაგრამ სამაგიეროდ წინა ხელფასზე 20 ლარი რომ გადმოგაყოლეთ, მაშინ რატომ არ ამოიღეთ ხმა?

– იმიტომ, რომ ერთხელ რომ დაუშვით შეცდომა, ამაზე კიდევ შეიძლება თვალის დახუჭვა, მაგრამ მეორედ უკვე მეტისმეტია!

•••

შვილიშვილი პაპას ეკითხება:

– პაპა, ინტერნეტის გარეშე როგორ ცხოვრობდით?

– როგორ და აბანოს კედელში ხვრელს ვაკეთებდით.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



სალომე ჭაჭუა კვლავ საუკეთესოთა შორისაა

მოცეკვავე სალომე ჭაჭუა და მისი მეწყვილე, მორაგბე ჯორდან ქონროი, ირლანდიურ „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ წამყვან პოზიციებს არ თმობენ.

წყვილმა რიგით მეოთხე საკონკურსო ტურში „პასო დობლე“ იცეკვა და მაყურებლისა და ჟიურის დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

სალომემ და ჯორდანმა პროექტის ფარგლებში უკვე იცეკვეს „სალსა“, „ჩა ჩა ჩა“, „ქვიქსტეპი“ და „პასო დობლე“. წყვილი ჟიურისგან კარგ ქულებს იმსახურებს და მომდევნო ტურებშიც თავდაჯერებული გადადის.

„სუხიშვილებმა“ ევროპული ტურნე დაიწყო

ანსამბლმა „სუხიშვილებმა“, პანდემიის მიუხედავად, ევროპული საკონცერტო ტურნე დაიწყო. 6 თებერვლიდან 10 აპრილამდე ქართველი მოცეკვავეები პოლონეთის, ჩეხეთის, უკრაინის, მოლდოვის, რუმინეთისა და სერბეთის ქალაქებში 63 კონცერტს გამართავენ.

ევროპული ტურის პირველმა კონცერტმა, როგორც მოსალოდნელი იყო, სრული ანშლაგითა და დამსწრე საზოგადოების მქუხარე აპლოდისმენტებითა და ხანგრძლივი ოვაციებით ჩაიარა.

ჭიათურის თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელის კონკურსი ჩაიშალა

ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელის შესარჩევი კონკურსი ჩაშლილად გამოცხადდა.

ამ თეატრში კონკურსი 8 დეკემბერს გამოცხადდა. კონკურსის ფარგლებში სამინისტროს მომართა 3-მა კანდიდატმა – თეატრის ყოფილმა სამხატვრო ხელმძღვანელმა მამუკა ცერცვაძემ, თეატრის ყოფილმა დირექტორმა და სამხატვრო ხელმძღვანელის მოვალეობის ამჟამინდელმა შემსრულებელმა ნანა წერეთელმა და რეჟისორმა მამუკა ტყემალაძემ.

კულტურის სამინისტრომ მიიჩნია, რომ ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი თეატრის განვითარების 4-წლიანი სტრატეგიული გეგმა მოკლებულია კონკრეტიკას და ვერ ქმნის ნათელ წარმოდგენას მომავალი 4 წლის განმავლობაში თეატრის განვითარების შესახებ. რაც შეეხება ორ სხვა კანდიდატს, ერთ-ერთი მათგანი არ აკმაყოფილებს „პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, ხოლო მეორე მათგანის მიერ წარმოდგენილი პროგრამა ზოგადი ხასიათისაა და არ ემყარება ჭიათურის თეატრის საჭიროებებს.

სამინისტროს გადაწყვეტილებით, ჭიათურის თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელის შესარჩევი კონკურსი ჩაშლილად გამოცხადდა.

თავისუფალი ლიტერა

„თავისუფალი ლიტერა 2021“-ის გამარჯვებულები დაჯილდოვეს

ლიტერატურული კონკურსის „თავისუფალი ლიტერა 2021“-ის გამარჯვებულები დაჯილდოვეს.

„თავისუფალი ლიტერა“ პრემია „ლიტერას“ მხარდამჭერი კონკურსია. კონკურსზე განიხილება მხოლოდ ის წიგნები, რომლებიც წლევანდელ უკვე ჩაშლილ „ლიტერაზე“ იყო წარდგენილი. კონკურსის შედეგებს აფასებდა ჟიური, რომელიც 5 წევრისგან შედგებოდა, გამარჯვებული კი ფარული კენჭისყრით ვლინდება.

გასულ წელს ლიტერატურული პრემიერა „ლიტერა“ ჩაიშალა, რადგან ის ჟიურის 4-მა წევრმა და კონკურსანტების ნაწილმა პროტესტის ნიშნად დატოვეს.

პროტესტის მიზეზი გახდა კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილება, რომ წელს პირველად ჟიურის მეხუთე წევრს თვითონ დანიშნავდა.

მწერალთა სახლში აცხადებდნენ, რომ თეა წულუკიანის მიერ ჟიურის წევრის დანიშვნის შემდეგ ისინი სამინისტროსთან კომუნიკაციას ეცადნენ, თუმცა ამას უწყებიდან რეაგირება არ მოჰყოლია.

„ლიტერას“ კონკურსანტებმა კულტურის მინისტრ თეა წულუკიანს მიმართეს, რომ სამინისტროს მიერ დანიშნული წევრი გაეწვიათ. თუმცა უწყებაში განაცხადეს, რომ „ამ კონკურსთან მხოლოდ ის შეხება აქვთ, რომ ხუთკაციან საკონკურსო კომისიაში ერთი სამინისტროს წარმომადგენელია“.

ამიტომაც ლიტერატორებმა მიიღეს გადაწყვეტილება, „თავისუფალი ლიტერა“ ჩაეტარებინათ.

გამარჯვებულთა სია კი ასეთია:

ნომინაცია წლის საუკეთესო პროზაული კრებული: ალეკო შუღლაძე – „ლაბირინთი მანუელისთვის“ და რუსუდან რუხაძე – „სიყვარულის წონა“.

ნომინაცია წლის საუკეთესო რომანი: შოთა იათაშვილი – „დამწყები“ და ბექა ქურხული – „თვალდაკარგული ყივჩაღის ჩანაწერები ანუ დეშთი-ყიფჩაღი“.

ნომინაცია წლის საუკეთესო პოეტური კრებული: ბათუ დანელია – „თოვლის ტენორი“.

ნომინაცია წლის საუკეთესო დოკუმენტური პროზა: როსტომ ჩხეიძე – „მუხა უდაბნოში“.

ნომინაცია წლის საუკეთესო დებიუტი: ნანა აბულაძე – „აკუმი“.

ნომინაცია წლის საუკეთესო წიგნის დიზაინი: ნატალია ავალიანი – შოთა იათაშვილი „დამწყები“.

ილიაუნის სპეციალური პრემია სამოქალაქო თემების ასახვისთვის ლიტერატურაში ეკა ქევანიშვილს გადაეცა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კორეული გემთმშენებელი კონცერნი; 2. კომბინაცია პოკერში; 3. მუდმივი სიდიდე მათემატიკაში; 4. ყველაზე დიდი ტბა იტალიაში; 5. ჩინეთსა და შორეულ აღმოსავლეთში მზარდი ბალახოვანი სამკურნალო მცენარე; 8. ესპანური წესით დამზადებული ღორის შაშხი; 9. უზადო ბრილიანტი; 12. პისტოლეტის ჩასადები ტყავის ბუდე; 14. ისტორიული ციხე-ქალაქი მცხეთის მახლობლად; 16. დიპლომატიური წარმომადგენელი.

თარაზულად: 1. მთიანეთი ავღანეთში; 6. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებული ქართველი მხატვარი; 7. ძველი ქართული დამწერლობა; 9. ბულგარეთის ძველი დედაქალაქი; 10. კოტეჯი შვეიცარიის ალპებში; 11. მუქი ფერის ბრიტანული ლუდი; 13. კათოლიკურ მამათა მონასტრის წინამძღვარი; 15. შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ეგრისის სამთავროს ნაწილი; 17. მუსლიმანთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 18. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 19. ნაკურთხი წყალი; 20. ოსტატის მოწაფე.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა